

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
ნაცენტის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

თბილისი. ივნისი, 2013

№ 14

ახალი ამბები
საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება
დიმიტრი არაყიშვილის საიუბილეოდ
უცხოელი ეთნომუსიკოლოგები
იზალი ზემცოვსკი

უცხოური მრავალხმიანობა
მარაკეშის ჯემაა ელ-ფნას ქაოსური
პულტურა
ქართველ ბაგშვია ფოლკლორული
ანსამბლები
„მართვე“, „მძლევარი“, „ერქვანი“,
„ლაშარელა“

ექსპედიციის დღიური
ექსპედიცია აჭარაში

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი
ჯგუფი „საუსეიას“ ლატვიიდან

ქართული სიმღერის მოამაგეები
ერქომაიშვილები

უცხოელები ქართული ფოლკლორის
შესახებ
პიტერ გოლდი – ქართული მუსიკალური
ფოლკლორი თურქეთიდან

ქართული ძულტურისა და მეცნიერების
ძერები
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს
ეროვნული მუზეუმი

ქართული სიმღერის უცხოელი
შემსრულებლები
ანსამბლი „დარბაზი“ კანადიდან

ძველი პრესის ფურცლებზე
კახი როსებაშვილი
„უამსიმღეროდ გერ ვიცხოვრებდი“

გამოხმაურება წიგნზე: „ექო
საქართველოდან“

ერთი სიმღერის ისტორია
„ურმული“

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება (იანვარი-ივნისი, 2013)

18.04.2013 – ICTM (0-უნისკოს ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს) ბიულეტენში რებრიკით – ეროვნული და რეგიონული წარმომადგენლების ანგარიში, გამოქვეყნდა ინფორმაცია ქართულ ეთნომუსიკოლოგიურ ცხოვრებაზე. ზოგადად, აღნიშნული რებრიკა მოიცავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისა და რეგიონების ეთნომუსიკოლოგიურ სიახლეებს (<http://www.ictmusic.org/publications/bulletin-ictm>

Vol. 122, April 2013, pages 44-50)

ფესტივალები და კონფერენციები

12.03.2013 – დ. შოსტაკოვიჩის სახელობის სანკტ-პეტერბურგის აკადემიური ფილარმონიის დიდ დარბაზში, საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში „მართლმადიდებლური მუსიკის აკადემია“, გაიმართა ალექსანდრე ნეველის ლავრის 300 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდმარცხის კონცერტები, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ანსამბლ „ბასიანის“ სოლო კონცერტი.

20-23.03.2013 – გერმანიის ქალაქ ბამბერგში გაიმართა 0-უნისკოს ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს (ICTM) ხალხური მუსიკალური საკრავების შემსწავლელი ჯგუფის მე-19 საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელ შიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მკელევრებმა: მუსიკოლოგიის დოქტორმა ნინო მახარაძემ და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სპეციალისტმა – ლოლიტა სურმანიძემ.

4-5.04.2013 – პარიზში გაიმართა 0-უნისკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა, რომელ შიც მონაწილეობდა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფ. რუსულან წურწუმია.

6-7.04.2013 – პარიზში, *La Maison des Cultures du Monde*-ს სცენაზე მსოფლიო კულტურის სახლის მიერ მოწყობილი მე-17 ფესტივალის – Festival de L'Imaginaire – ფარგლებში სვანურმა ანსამბლმა „რიპომ“ სოლო კონცერტი გამართა.

19.04.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში გაიმართა IV საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-კონცერტი.

20-22.05.2013 – ქ. ბათუმში ჩატარდა XXI საუკუნის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი.

24.05.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებამ გამართა დარაიიშვილის დაბადებიდან 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა კონფერენცია და ფოლკლორული კონცერტი.

30.05.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულების, წმ. გორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესმა სასწავლებელმა და საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრმა კონსერვატორიაში ჩატარა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – საეკლესიო გალობა – ტრადიცია, კანონიკა, შემსრულებლობა.

31.05.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ ჩატარა სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია.

კომპაქტდისკები, მასტერ-კლასები, ლექციები და სხვ.

6.01.2013 – ანსამბლმა „შავნაბადამ“ გამოსცა ქართული გალობის სასწავლო CD (მწუხარი).

20-21.05.2013 – იორების უნივერსიტეტის (კანადა) პროფესორმა რობ სიმბმა ტმკსც-ის მოწვევით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარა რობ ლექცია: 1. „ირანული სიმღერების პოეტიკა და მუჰამედ რეზა შაჟარიანის სიმღერები“ – ისტორიული, პოლიტიკური, პოეტური ასპექტები, ნარატიული შემსრულებლობა, ინდივიდუალურისა და კოლექტიურის ბალანსი ტრადიციაში, ტრადიციულობისა და თანამედროვეობის ურთიერთკავშირი, მუსიკის იმპროვიზაციული შესრულება; 2. „დასავლეთ აფრიკული ინსტრუმენტული პოლიფონია“ – გახაში, სენეგამბიაში, გვინეასა და მალიში მცხოვრები მანდეს ხალხის დასარტყამი საპრავების სტრუქტურა, თაობიდან თაობაზე გადაცემა, მისი კულტურული კონტექსტი და კორას - მანდეს ბარბითის (harp-lute) პოლიფონიური ასპექტები.

ყურადღება გამახვილდა ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ახალ მეთოდებსა და მიღებებზე.

აქტუალიციები

2013 წლის აპრილი – ჩატარდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიცია აჭარაში. ექსპედიციის ხელმძღვანელი ამავე მიმართულების დოქტორანტი, თეონა რუხაძე იყო, წევრები – ეთნომუსიკოლოგის მიმართულების მაგისტრანტები – თეონა ლომაშაძე და სოფო კოტრიკაძე.

გასტროლები

7-15.01.2013 – ანსამბლი „რუსთავი“ ტაივანის საბალეტო თეატრის დასთან – „Cloud Gate“-თან ერთად იმყოფებოდა მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმپურში, სადაც მალაიზიის კულტურის სასახლეში – “Istana Budaya” ჩატარა კონცერტები.

16-20.01.2013 – ანსამბლმა „რუსთავმა“ ჩატარა კონცერტები სანქტ-პეტერბურგშა და ნოვგოროდში.

29.01-4.02.2012 – ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა კუნძულ სარდინიაზე.

16-25.02.2013 – ანსამბლი „რუსთავი“ ტაივანის საბალეტო თეატრის დასთან – “Cloud Gate“-თან ერთად იმყოფებოდა ტაივანის დედაქალაქ ტაიეფიში, სადაც მონაწილეობა მიიღო ტაივანის ნაციონალურ თეატრში გამართულ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში.

3-12.04.2013 – ანსამბლმა „რუსთავმა“ ჩატარა სოლო კონცერტი ქ. მოსკოვის “Crocus City Hall”-ში.

19-20.05.2013 – ანსამბლმა „მე რუსთაველი“ სოლო კონცერტები გამართა უკრაინის ქალაქ კრივო-როვში.

1.06.2013 – ანსამბლები „თუთარჩელა“ და „მე რუსთაველი“ მიწვეული იყვნენ სომხეთის ქალაქ იჯევანში, სადაც სოლო კონცერტი გამართეს.

კონცერტები და საღამოები

20.01.2013 – თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ქრისტეშობისადმი მიღვნილი სიმღერა-გალობის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

2.02.2013 – სოფელ კიკეთში, წმ. ექვთიმე ლვოისკაცის სახელობის ეკლესიაში ჩატარდა საზეიმო წირვა წმ. ექვთიმე აღმსარებელის ხეენების დედეთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ფოლკლორულმა და მგალობელთა გუნდებმა: „აღსავალი“, „ბასიანი“, „დიდგორი“, „იალონი“, „გორის ბაგშვთა გუნდი“.

10.03.2013 – გორის რაიონის სოფელ ნიქოზში, ნიქოზისა და ცხინვალის მიტრობოლიტის, მეუფე ისაიას რეზიდენციაში ანსამბლმა „დიდგორმა“ პროექტის „ჩემო კარგო ქვეყანაზ“ ფარგლებში სოლო კონცერტი გამართა.

10.05.2013 – „თბილისის მუსიკის კვირეულის“ ფარგლებში ანსამბლმა „დიდგორმა“ სამეფო უნივერსიტეტის თეატრში კონცერტი გამართა.

11.05.2013 – თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა ახალი ლვინის ფესტივალი, რომლის გახსნაშიც მონაწილეობა ანსამბლი „დიდგორი“.

24.05.2013 – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიღვნილი კვირეულის ფარგლებში ქ. ბოლნისის კულტურის სახლში გაიმართა ქართული ტრადიციული მუსიკის სადამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა და ადგილობრივმა ანსამბლებმა და ცალკეულმა შემსრულებლებმა.

26.06.2013 – ქ. რუსთავის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „თუთარჩელამ“ და „მე რუსთაველმა“.

9.06.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ანსამბლ „შავნაბადას“ სოლო კონცერტი.

15.06.2013 – ანსამბლმა „თუთარჩელამ“ გამართა სოლო კონცერტი „ალპებიდან კავკასიონამდე“ ქ. რუსთავის დრამატულ თეატრში.


18.06.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა კომპაქტ-დისკის „100 ხალხური სიმღერა და საგალო-

ბელი“ პრეზენტაცია-კონცერტი ანსამბლ „ბა-სიანის“ მონაწილეობით.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა განახორციელა არა ერთი საინტერესო პროექტი (დაწვრილებით იხილეთ სიახლეები www.folk.ge).

მოამზადა მაკა ხარძიანძა

დიმიტრი არაყიშვილის საიუბილეოდ (1873-1953)



დიმიტრი არაყიშვილი

წელს დიმიტრი არაყიშვილის საიუბილეო – მისი დაბადებიდან 140, გარდაცვალებიდან კი 60 წელი გავიდა, თუმცა მეცნიერის თითქმის საუკუნენახევრის წინ გამჭებულ დასკვნებს აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს. სწორედ ამიტომ, დ. არაყიშვილის სამეცნიერო ნაშრომები დღემდე ქართველი ეთნომუსიკოლოგების ერთ-ერთი დასაყრდენია.

სულ ცოტა ხნის წინ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებაში ჩაატარა ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა კონფერენცია, რომელიც დიმიტრი არაყიშვილის იუბილეს მიეძღვნა. წარმოდგენილი ნაშრომები დამატებული ხალხური სახელმწიფო მუსიკოლოგის მიერ საუკუნის დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა რაიონში და მოაგროვა დიდალი მუსიკალური მასალა (500-ზე მეტი ხალხური სიმღერა), რომელიც შემდეგ ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებითურთ სამდიდ კრებულად გამოსცა. „ქართული ეროვნული ერთხმოვანი სიმღერები“, „ქართული მუსიკა“, „ქართული სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა“, „რაჭული ხალხური სიმღერები“, „სვანური ხალხური სიმღერები“, „დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერათა კილოს წყობა“, „ცალკეული ნარკვევები ქართლ-კახურ, იმერულ, ხრდილო-კავკასიურ მუსიკაზე და ა.შ. – ასეთია მოკლე ჩამონათვალი დ. არაყიშვილის ფოლკლორისტული ნაშრომებისა, რომლებითაც მან საქვეწოდ წარმოაჩინა ქართული ხალხური მუსიკის მრავალფეროვნება და თვითმყოფადობა და საფუძველი ჩაუყარა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კვლევას.

1906 წელს არაყიშვილმა მოწინავე რუს მუსიკოსებთან ერთად დაარსა „სახალხო კონსერვატორია“, სადაც თვითონაც ასწავლიდა. ორი წლის შემდეგ არბატის უდარიბესი მოსწავლეებისათვის მან გახსნა უფასო სამუსიკო კურსები. მისი პირადი თაოსნობითა და ღვაწლით 1908 მოსკოვში გამოვიდა პროგრესული შურნალი „მუზიკა ი ჟიზნ“, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში თვითონვე რედაქტორობდა. ამავე პერიოდში იგი აქტიური წევრი იყო მოსკოვის „მეცნიერების,

მუსიკისადმი სიყვარული არაყიშვილს გაუდგიდა ლ. აღნიაშვილის ქართულმა გუნდმა (ხელმძღვანელი ი. რატილი), რომელსაც პირველად 1890 წელს მოუსმინა არმავირში. 1894-1901 წლებში არაყიშვილი სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო დრამატულ სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა ა. ილინსკის (კომპოზიცია), ს. კრუგლიკოვის (თეორიული საგნები) და ვ. კესის (დირიჟორობა) ხელმძღვანელობით.

მოსკოვში ყოფნის წლებში (1894-1918) არაყიშვილი დაუხლოვდა ცნობილ რუს მუსიკოსებსა და მეცნიერებს (ს. ტანეევი, ა. კასტალსკი, მ. იპოლიტოვი-ივანოვი, ს. პასხალოვი, მ. პიატნიცკი). ხალხური მუსიკალური შემოქმედებისადმი ინტერესმა ის მჭიდროდ დააკავშირა მოსკოვის უნივერსიტეტის სამუსიკო-ეთნოგრაფიულ კომისიასთან, რომლის დავალებით არაყიშვილმა ოთხი (1901, 1902, 1904, 1908) სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო საქართველოს სხვადასხვა რაიონში და მოაგროვა დიდალი მუსიკალური მასალა (500-ზე მეტი ხალხური სიმღერა), რომელიც შემდეგ ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებითურთ სამდიდ კრებულად გამოსცა. „ქართული ეროვნული ერთხმოვანი სიმღერები“, „ქართული მუსიკა“, „ქართული სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა“, „რაჭული ხალხური სიმღერები“, „სვანური ხალხური სიმღერები“, „დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერათა კილოს წყობა“, „ცალკეული ნარკვევები ქართლ-კახურ, იმერულ, ხრდილო-კავკასიურ მუსიკაზე და ა.შ. – ასეთია მოკლე ჩამონათვალი დ. არაყიშვილის ფოლკლორისტული ნაშრომებისა, რომლებითაც მან საქვეწოდ წარმოაჩინა ქართული ხალხური მუსიკის მრავალფეროვნება და თვითმყოფადობა და საფუძველი ჩაუყარა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კვლევას.

1906 წელს არაყიშვილმა მოწინავე რუს მუსიკოსებთან ერთად დაარსა „სახალხო კონსერვატორია“, სადაც თვითონაც ასწავლიდა. ორი წლის შემდეგ არბატის უდარიბესი მოსწავლეებისათვის მან გახსნა უფასო სამუსიკო კურსები. მისი პირადი თაოსნობითა და ღვაწლით 1908 მოსკოვში გამოვიდა პროგრესული შურნალი „მუზიკა ი ჟიზნ“, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში თვითონვე რედაქტორობდა. ამავე პერიოდში იგი აქტიური წევრი იყო მოსკოვის „მეცნიერების,

ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კომპოზიტორი, მუსიკის მცოდნე-ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ სახალხო არ-

ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართული საზოგადოებისა“, რომელსაც სათავეში ედგა ა. სუმბათაშვილ-იუჟინი.

საზოგადო, პედაგოგურ და მეცნიერულ მოღვაწეობას არაყიშვილი დამაბულ შემოქმედებით – კომპოზიტორულ მოღვაწეობას უთავსებდა. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი ოცხე მეტი საუკეთესო რომანი, ოპერა „ოქმულება შოთა რუსთაველზე“ (1904), რომელიც 1919 წელს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა, სიმფონიური სურათი „პიმი ორმუზდს“ („საზანდრებს შორის“, 1911) და საგუნდო ნაწარმოებები.

1918 არაყიშვილი საქართველოში გადმოსახლდა და მთავარ ამოცანად მუსიკოსთა ახალგაზრდა კადრების მომზადება დაისახა. 1921 წელს თბილისში მისი უმუალო ინიციატივით დაარსდა მეორე კონსერვატორია. ორივე კონსერვატორიის გაერთიანების შემდეგ (1923 წელი) იყო კონსერვატორიის დირექტორი, კათედრის გამგე, საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი. 1932 იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს. საბჭოთა პერიოდში არაყიშვილის შემოქმედება გამდიდრდა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით (კომიკური ოპერა „დინარა“, სიმფონიები, კანტატა).

არაყიშვილის მექანიზრების ყველაზე კრიელი და მნიშვნელოვანი სფეროა კამერულ-ვოკალური ლირიკა. ამ ჟანრში კომპოზიტორმა ჰქომარიტად კლასიკური მნიშვნელობის ნიმუშები შექმნა.

უფროსი თაობის სხვა ქართველ კომპოზიტორებთან ერთად (მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, ვ. დოლიძე) არაყიშვილი აღიარებულია ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებლად.

დ. არაყიშვილის ძირითადი ფოლკლორისტული ნაშრომები:

ქართული ეროვნული ერთხმოვანი სიმღერები. თბილისის და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებისათვის. (1905). წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა №73. ტფილის: მსწრაფლ-მბეჭდავი ა. ქუთათელაძისა (ქართულ ენაზე) ქართული მუსიკა. (1925). თბილისი: მეცნიერება საქართველოში. ქუთაისი: ადგილობრივი მეურნეობის სტამბა (ქართულ ენაზე)

ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა. (1940). თბილისი: ტექნიკა და შრომა (ქართულ ენაზე)

რაჭული ხალხური სიმღერები. (1950). თბილისი: ხელოვნება (ქართულ ენაზე)

სეანური ხალხური სიმღერები. (1950). თბილისი: ხელოვნება (ქართულ ენაზე)

დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერათა კილოს წყობა. (1954). თბილისი: ხელოვნება (ქართულ ენაზე)

Краткий очерк развития Грузинской, карталинокахетинской народной песни, с приложением нотных примеров и 27 песен в народной гармонизации; О грузинской духовной народной музыке, с приложением напевов на литургии св. Иоанна Златоустого. (1905). Москва: Типография К. Л. Меньшова (რუსულ ენაზე)

Народная песня Западной Грузии (Имеретии). С приложением 83 песен в народной гармонизации. (1908). Оттиски из II т. «Трудов Музыкально-Этнографической Комиссии» (МЭК) И. О. Л. Е., А. и Э.. Москва (რუსულ ენაზე)

Грузинское Народное Музыкальное Творчество (Народная песня Восточной Грузии Северного Кавказа) с приложением 225 песен в народной гармонизации и 39 инструментальных мелодий. (1916). Оттиски из V т. «Трудов Музыкально-Этнографической Комиссии» (МЭК) при Московском университете. Москва: Типография Г. Лисснера и Д. Собко (რუსულ ენაზე)

Грузинская музыка. (1925). Кутаис: Типография Местного Хозяйства (რუსულ ენაზე)

Песни горцев Восточной Грузии. жур. «Советская музыка», 1939, № 4. Москва (რუსულ ენაზე)

Краткий исторический обзор Грузинской музыки. (1940). Тбилиси: Государственное издательство Грузии. Музыкально-Литературный сектор (რუსულ ენაზე)

Обзор народной песни Восточной Грузии. (1948). Тбилиси: Государственное издательство Грузинской ССР (რუსულ ენაზე)

დ. არაყიშვილის ძირითადი მუსიკალური ნაწარმოებები

3 ოპერა, 2 სიმფონიური სურათი, 2 სიმფონია, 1 სიმფონიური სიუიტა, კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები სიმებიანი კვარტეტებისათვის, ჩელოსათვის, ფორტეპიანოსათვის; საგუნდო ნაწარმოებები, 80-მდე რომანსი და სიმღერა.

ცნობილი უცხოელი ეთნომუსიკოლოგები

იზალი ზემცოვსკი (1936)



შემთხვევითი არ არის, რომ ახალ რუბრიკას – „ცნობილი უცხოელი ეთნომუსიკოლოგები“ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერით, იზალი ზემცოვსკით ვიწყებთ – გვეამაყება, რომ იგი ქართული კულტურის მეგობარია. დიახ, იგი მთელი ჩვენი კულტურისა და არა მხოლოდ ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნე და დიდი მოამაგეა. მისი განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა უკელავერ ქართულთან გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, როცა თავისი რეკომენდაციებით დიდად ეხმარებოდა ქართველ ფოლკლორისტებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მრავალხმიანობისადმი მიღებით საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებაში.

უფრო მეტიც, მის მიერ 1986 წელს ბორჯომში, საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში – „მუსიკალური დიალოგიკის პრობლემა: ანტიფონია და დიაფონია“, მუსიკალური დიალოგიკის მის მიერ ჩამოყალიბებულმა თეორიამ უაღრესად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 80-ინი წლების ქართულ ეთნომუსიკოლოგიაზე, განსაზღვრა ედიშერ გარაფინიძისა და იოსებ ქორდანიას შემდგომი კვლევების მიმართულებები. სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ ქართველი ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის დიდი თაყვანისმცემელი და მისი მემკვიდრეობის უბადლო მცოდნე, იზალი ზემცოვსკი საქუთარი დებულებების ფილოსოფიური დასაბუთების მიზნით, ხშირად მიმართავს ფილოსოფოსის ნააზრევს, რაც ამ ორი დიდი მეცნიერის სულიერ და მენტალურ სიახლოვეზე მეტყველებს.

იზალი ზემცოვსკი ის უცხოელი მეცნიერია, რომელმაც ჯერ კიდევ 80-იან წლებში წინასწარ განჭვრიტა, რომ საქართველო უნდა გამხდარიყო მრავალხმიანობის კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, ხოლო 2002 წელს აქტიურად დაუჭირა მხარი თბილისის კონსერვატორიაში ამგვარი ცენტრის ჩამოყალიბებას და დაგვეხმარა თბილისის I საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზებაში. თბილისის სიმპოზიუმებში მონაწილეობით მან, მსოფლიოში გამოჩენილ სხვა მეცნიერთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ამ ფორუმის მეცნიერული დონე.

ფოლკლორისტი და ეთნომუსიკოლოგი, დოქტორი იზალი ზემცოვსკი დაიბადა პეტერბურგში. მისი პედაგოგი იყო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პრფესორი ვლადიმირ პროპი. 1960 წლიდან ზემცოვსკი მუშაობდა პეტერბურგში რუსეთის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, 1994 წლიდან სხვადასხვა კურსი მიჰყავდა აშშ-ის (ლოს-ანჯელესის, ბერკლის, მედისონისა და სტანფორდის) უნივერსიტეტებში. 2006 წლიდან არის სილქ როუდ ჰაუსის – ბერკლის (კალიფორნია) ახალი კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის ინვაციური არაკომერციული საბჭოს დირექტორი. იყო ამერიკის ეთნომუსიკოლოგიური საზოგადოების (SEM) წევრი (1969) და UNESCO-ს ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო აღმასრულებელი საბჭოს (ICTM) დირექტორი; ამერიკის იაპ კუნსტის პრიზიორი (Jaap Kunst Prize, 1997); თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საპატიო პროფესორი (2006); ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა იგი 21-ე საუკუნის დიდ მოაზროვნედ დაასახელა (2006); ფუმიო კოიცუმის პრემიის ლაურეატი ეთნომუსიკოლოგიაში (Koizumi Fumio Prize for Ethnomusicology, 2011); შეკვანილია ნიუ გროვის მუსიკისა და მუსიკოლების ლექ्सიკონის გე-2 გამოცემაში (გ. 27, 2001).

დოქტორი ზემცოვსკი ავტორია სხვადასხვა ენაზე გამოცემული მრავალი წიგნისა და 550-ზე მეტი სტატიისა. მათ შორის წიგნებისა – რუსული გრძელი სიმღერა: გამოკვლევა (ლენინგრადი, 1967); ტორთებების სიმღერა: სიმღერები მუსორგსკის სამშობლოდან (ლენინგრადი, 1967); გლეხური დღესასწაულების პოეზის (1970); კალენდარული სიმღერების მელოდია (ლენინგრადი, 1975); ფოლკლორი და კომპოზიტორი (ლენინგრადი, 1978); ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტის „ვენიანკას“ მელოდიის ნაკვალევზე: ხალხური სიმღერის ისტორიული მორფოლოგია (ლენინგრადი, 1987); ბორის ახაფიევი ხალხურ მუსიკაზე (ალმა კუნანბაევასთან ერთად, ლენინგრადი, 1987); ებრაული ხალხური სიმღერები:

ანთოლოგია (სანკტ პეტერბურგი, 1994); ბორის პუტილოვის ცხოვრებისა და შემოქმედების საგმირო ეპოხი (სანკტ პეტერბურგი: ევროპული სახლი, 2005); ზეპირი ტრადიციის სამყაროდან: ანარკიულები (სანკტ პეტერბურგი, 2006).

განათლება:

1955 – მუსიკალური სკოლის ბაკალავრის დიპლომი, კომპოზიტორი და პიანისტი/ სანკტ პეტერბურგის მუსიკალური სკოლა, პროფ. გალინა უსტივოლსკაიას კლასი;

1958 – რუსული ფილოლოგიის მაგისტრი/ სანკტ პეტერბურგის უნივერსიტეტი, პროფ კლადიმირ პრობის კლასი;

1960 – რუსული ეთნომუსიკოლოგიის მაგისტრი/ სანკტ პეტერბურგის კონსერვატორია, პროფ. ფიოდორ რუბცოვის კლასი;

1961 – კომპოზიციის მაგისტრი/ სანკტ პეტერბურგის კონსერვატორია, პროფ ვადიმ სალმანვის კლასი;

1964 – ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი (დისერტაცია „რუსული გაბმული სიმღერა“) თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტი, სანკტ პეტერბურგი, რუსეთი

1981 – დოქტორანტურა ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში (დისერტაცია: „კალენდარული სიმღერების მელოდიკა“) უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიევის ხელოვნების, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის ინსტიტუტი;

1992 – სრული პროფესორი /რუსეთის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, სანკტ პეტერბურგი

1956 წელს მისი პირველი ფოლკლორისტული ექსპლიციიდან დაწყებული მოქლი მისი 56 წლიანი მეცნიერული მოღვაწეობა სამ ვრცელ არეალს მოიცავს:

ფოლკლორი და კომპოზიტორი ფოლკლორის წარმოშობის მუსიკოლოგიური კვლევის არა მარტო ტრადიციული ასაკები, არამედ ინოვაციური მიდგომა – თუ როგორ „ხსნიან“ კომპოზიტორები ფოლკლორსა და მის კანონებს თავის ნაწარმოებებში, აქამდე უცნობი ცოდნა;

რუსული ფოლკლორი (რიტუალი, ლექსი და ეპოხი) ა) თავისი უანრების უნიკალურ სისტემასა და ბ) სხვადასხვა ევრაზიულ კავშირებსა და ურთიერთობებში. ზემცველი გვთავაზობს ახალ სამეცნიერო დისციპლინას, რომელსაც უწოდა ეთნოგეომუსიკოლოგია და სხვა ახლებურ მიდგომებს, განსაკუთრებით ხალხური სიმღერის ისტორიულ მორფოლოგიას. ეს არის 1987 წელს ნაშრომიდან „ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტის საგაზაფხული სიმღერის ნაკვალევზე“ დაწყებული სერიის დასახელება, ეს გაცილებით ადრე – 1967 წელს დაიწყო მონოგრაფიიდან რუსულ „გაბმულ“ სიმღერაზე; და ბოლოს

ეთნომუსიკოლოგიის ისტორია, თეორია და მეთოდოლოგია. ამ თვალსაზრისით მეც-

ნიერი გვთავაზობს არა რაღაც ახალს – მის საკუთარს, არამედ აკადემიურ წრეებს „უბრუნებებს“ ზეპირი მუსიკალური ტრადიციის რუსული აზროვნების უსამართლოდ დავიწყებულ მემკვიდრეობას.

1960-იანი წლებიდან ზემცველი დაინტერესებულია სამეცნიერო კვლევის ფუნდამენტური საკითხებით, რომელსაც მიჰყავს ძუნების აღმოჩენამდე, რაც ზეპირი მუსიკალური ტრადიციის ბირთვს წარმოადგენს. მეცნიერს ეს ინტერესი კიდევ უფრო გაუძლიერდა, როდესაც დაიწყო „მუსიკისა და ეთნოგენესის“ საკითხებზე მუშაობა, ანუ მუსიკის როლის შესწავლა სხვადასხვა ხალხების ეთნიკურ ისტორიაში – ევრაზიის თანამედროვე ეთნიკური რეგის მუსიკალურ საფუძვლებამდე. ამის შედეგად, ზეპირ ტრადიციასა და მუსიკის ისტორიაში მუსიკის როლის გათვალისწინებით, ტრადიციული ანალიტიკური ფოკუსი მუსიკის ისტორიიდან ინაცვლებს მუსიკაზე. როგორც ისტორიულ საბუთზე.


ზემცველის კალენდითი ინტერესები სამი ფუნდამენტური აფორიზმის ირგვლივ ტრიალებს. პირველი ვ.ვ. ოდოვესკის ეპუთვნის: „ეროვნულობის შეგრძების გაღათარგმნა ტექნიკურ ენაზე“ – ანუ მუსიკოლოგიური ანალიზით არგუმენტირება იმისა, თუ კონკრეტულად რას ეფუძნება ჩვენი ეროვნულობის გრძნობა; მეორე ეფუძნება გოეთეს პერიორაზს და ფორმულირებულია ეთნოგრაფ ლ.ა. შტენბერგის მიერ: „ვინც იცნობს ერთ ხალხს, ის არ იცნობს არცერთს“. აქედან მოდის შედარებით (განსაკუთრებით – შედარებით ტიპოლოგიური) კალენდების აუცილებლობა. მესამე კი აღებულია იმავე შტენბერგის დებულებებიდან: „მთელი კაცობრიობა ერთიანია“, რაც გულისხმობს, რომ ხელოვნებათმცოდნეობას ძალუბს წამოსწიოს ეველაზე გლობალური საკითხები, რომლებიც საერთოა მთელი კაცობრიობისათვის და ეხება მუსიკალური ხელოვნების სიღრმისეულ არსეს.

ზემცველის ეპუთვნის ისეთი ნეოლოგიზმები, როგორიცაა: ინტონაციური თეზისი, ინტონაციური ველი, საშემსრულებლო ურთოერთობა, ეთნოსმენა, მელოსფერო, მუსიკალური ნივთიერება, ჟანრის წარმომქმნელი მოდელი, კანტილენა-ნარაცია, მუსიკალური დიალოგიზმი (მუსიკალური დიალოგიკა), ეთნოგეომუსიკოლოგია, მუსიკალური არსებობა, მუსიკალური იდიშიზმი, Homo Musicus Totus, Homo Polyphonicus, Homo Musicians Polyethnoaudiens, Homo Lyricus, „ისტორიზმი ნებისმიერ ფასად“.

ეუსურვებობა ბატონ იზალის ჯანმრთელობას, კუთილდღეობას და ვიმეოვვნებო, რომ მომავალშიც გვექნება მასთან თანამრთლობის ბედისერება.

უცხოური მუსიკალური ფოლკლორი

მარაკეშის ჯემაა ელ ფნას ქაოსური კულტურა



ბენ უილერი

ხედები, სურნელები, და ჯემაა ელ ფნას (მარაკეშის დიდი ცენტრალური მოედანი, მაროკო) ხმები იწვევს ძლიერ უჩვეულო შეგრძებებს. ეს გრძნობიერი ტვირთი ართულებს გარშემო მიმდინარე სოციალური, კულინარიული და მუსიკალური მოვლენის სრულად გაგებას. მოდიო, ყურადღება მივაყროთ თითოეულ შეგრძებას რიგრიგობით.

სურნელები: პატარა კიოსკების მწკრივიდან ნიავის მოტანილი დარიჩინიანი და კოჭიანი უენშენის ჩას სურნელი, ათობით საქაბექედან ამომავალი კვამლი, სადაც შამფურზე წვავენ ცხვრის ხორცის ქაბაბს ზაფრანით, თხის თავების ორთქლი, თურქული ბარდისა და პომიდვრის წვინიანის უზარმაზარ ქვაბების ოხშივარი. . . ხის ოთხთვალებიდან ჯამებით იყიდება ანისულით შეზავებული ლოკოკინები და ცხარე წიწაკა. მოტიციყლების საწვავის, მტვრისა და ჭუჭყის, სიგარეტის კვამლის სუნი. . .

ხედები: ხალიჩაზე მჯდომარე გველის მომთვინიერებლები, შესვენების დროს კობრებს პატარა დოლებით ფარავენ. გარშემო ჯაჭვებით დაჰყავთ ყავლა ზომის მაიმუნი, რომლებიც ფოტოებისთვის პოზირებენ ან პატრონების მიერ შეგულიანებულები ტურისტებს მხრებზე ახტებიან. ჯელაბაში (სქელი, კაპიუშონიანი, გრძელსახელოებიანი ხალათი) გამოწყობილი მოხუცი მამაკაცები ზურგზე ხელებშემოწყობილი მიდი-მოდიან. ყველა ჯერის ტურისტი დახეტიალობს ფართოდ გაღებული თვალებით, ემოციებითა და შთაბეჭდილებებით სავსე გამომეტყველებით. ჩირებითა და თხილით სავსე

კიოსკები, გაცვეთილ ხალიჩებზე ფეხმორთმით მოკალათებული მუზრნალი მამაკაცები საპარიდან ბაზით, საკმეველით, გამხმარი ხვლიკებით გაჭრობენ, კბილის ექიმებს ხენჩები სავსე აქვთ გასაყიდი კბილის პროფესიებით; და რა თქმა უნდა, მუსიკოსები.

ხმები: ჯემაა ელ ფნას მუსიკა მოულოდნელად აგიზგიზდება და ასევე უეცრად ჩაჭრება. ეს ყველაფერი შენს გარშემო ხდება, თითოეული ანსამბლის ან სოლო შემსრულებლის მელოდია ერთმანეთს ერწყმის. იმისთვის რომ ამ მუსიკალურ ქაოსში რამე წესრიგი იპოვო, ადამიანმა უნდა გაარკვიო, რომელ ინსტრუმენტზე და რა უანრის მუსიკა სრულდება. ნაშაუადლევს, შესაძლოა გაიგონოთ ზურნის გამგმირავი ხმა (ორ დერიანი ჩასაბერი საკრავი), რომელიც ბრტოს ყაფანს არდვევს. ზურნა და დაირის მსგავსი საკრავი სახელად ძეგლირი გველების შემლოცველთა საკრავებია. ეს შემსრულებლები უფრო დღისით ჩანან, რაც პრაქტიკული მიზეზებითაა განპირობებული: დამით ძალიან რთულია მუქანიან კობრაზე თვალის მიღეცნება. ამ ადამიანთა უმრავლესობა ასოცირდება სიდი მუჭამედ იბნ აისას მიერ დაარსებულ ესავას კულტობრივი კულტის ზოგიერთი წევრი ცნობილია იმით, რომ გველებს თავს აჭამს, პირში მორიელებს იდებს, უფრო ზომიერი მიმდინარეობა გულისხმობს ამ არსებების მხოლოდ დაცვასა ან ყოლას.

გველების შემლოცველები, რომლებიც დღეს ჯამა ალ ფანაზე მართავენ წარმოდგენებს, დგანან ან სხედან 4-5 კაციან ჯგუფებად, ვიდრე ერთი მათგანი უკრავს ზურნას და ატარებს გველის შელოცვის რიტუალს, დანარჩენები მას თნახლებას უწევენ დოლებით ან პატარა ზომის გველებით ხელში ტურისტებთან მიდიან, ფულს ან ფოტოსთვის პოზირებას ხთხოვენ. გველების შემლოცველთა ზურნაზე დაკრული მუსიკა დაუდგრომელი და თავშეუპავებელია, ჩვეულებრივ, იწყება დაბალი ბგერით, რასაც მოჰყვება უცარი ნახტომი ზეგით კვინტაზე და ორნამენტებით შეგული დაღმასგლა ტონიკაზე, საიდანაც კვლავ იწყება მელოდიური ციკლი და გრძელდება სანახაობის დასრულებამდე. ჩემს მიერ მოსმენილი მელოდიების ბეგრათრიგის დიაპაზონი ფრიგიულ კილოს წააგავდა და ასე მიდინარეობდა (წმინდა, დიდი და პატარა ინტერვალები): პატარა სეპტიმა-ტონიკა-პატარა სეკუნდა- პატარა ტერცია-წმინდა კვარტა-წმინდა კვინტა. მაგრამ არის ასევე სიმღერები გადიდებულ სეკუნდით გამის მე-2 და მე-3 საფეხურებს შორის. ჩემი დაკვირვებით, ნაკლებად გავრცელებულია რამდენიმე ზურნის ერთობლიობა, თუმცა ასეთიც ვიხილე. მუსიკა პეტეროფონული იყო: ორივე მუსიკოსი ერთსა და იმავე მელოდიას ასრულებდა

ერთსა და იმავე დიპაზონში სხვადასხვა ორნა-
მენტის გამოყენებით.

მოგვიანებით, ნაშუადღეს იწყება შეჯ-
იბრი: ჰყვიტინა ზურნები ეჯიბრებიან ლითო-
ნის (შეგშავა ან გარეაბათ, ლითონის დიდი
კასტანეტები, რაც გნავა მუსიკის აუცილე-
ბელი შემადგენლი ნაწილია) დარტყმით შეს-
რულებულ კაკოფონურ მუსიკას. ამბობენ, რომ
ეს ტრადიცია სენეგალიდან მაროკოში ჩამოყ-
ვანილი მონებიდან მოდის, რომლებიც მოგვი-
ანებით მჯედღები გახდნენ. ამგვარად, ლითო-
ნის კასტანეტები მათი მუსიკისთვის მეტად
მნიშვნელოვანია. ასევე ხშირად უკრავენ
დოლს, რომელიც შემსრულებელს თასმით
გვერდზე პირია და მასზე ორი განსხვა-
ვებული ხის ჯოხით უკრავს. ერთი ჯოხი
სქელი და მრუდეა, ხოლო მეორე – თხელი და
სწორი. დოლს განვა პქვია. ამ ტრადიციის
კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი
არის სიმებიანი პაჯუჯუ ან გუმბარი. ეს არის
დიდი ზომის ბას-გიტარის ტიპის საკრავი,
ხისა და ტყავის ტანით, მრგვალი, უფარდო
ყელით, რომელიც გრძელტარიანი ცოცხის
მაგვარი მასალისგან არის დამზადებული.
პაჯუჯუ ორი გრძელი და ერთი მოკლე ბანის
სიმი აქვს. პაჯუჯუ ზე დაკვრის ტექნიკა ძალიან
პგავს ბანჯოზე დაკვრისას. მარჯვენა ხელის
თითები კლანჭებივითაა მოხრილი და სიმებზე
ზევიდან ქვევით მოძრაობს, ხოლო ცერა თითი
ქვედა სიმს ამოკრავს. მოკლე სიმს ამოკრავენ
პირველი და მეორე თითებით. ეს ტექნიკა პერ-
კუსის ეფექტს ქმნის, დაკვრის დროს მარჯ-
ვენა ხელს ტყავის ნაწილზე არტყავენ.

გნავას ტიპური შესრულება ასეთია:
შეგშავა გამოიყენება მრავალრიცხოვანი მუსი-
კოსების მიერ ერთი და იმავე მუსიკალური
მოდელის მობეზრებამდე გამეორებისათვის
(ტრადიციულად გნავას მუსიკა გამოიყენება
სანკურნალო მიზნით და მსმენელი ტრანსში
შეჰვავს): კლაპ, კლაპ, კლიპ, კლაპ, კლაპ,
კლიპ (ან მარჯვენა ხელი, მარჯვენა ხელი,
მარცხენა ხელი). ზოგჯერ საკრავს მაროკო-
ელი მსმენელი ან მომღერალთა ჯგუფი ტაშით
აყვება. ეს პოლირიტმული ნიმუშებია, ერთდ-
როულად მედერი სინკოპირებული და თანა-
ბარი პულსაცია ქმნის მდიდარ და რთულ
რიტმულ ტესიტურას, რაც, თავისთავად, სა-
ინტერესოა, ვინაიდან ნებისმიერ მაროკოელს,
იქნება ეს მუსიკოსი თუ უბრალოდ მსმენელი,
აქვს ამ პოლირიტმული მუსიკის აყოლის ნიჭი.
ეს ქსოვილი პაჯუჯთან (და ზოგჯერ დო-
ლებთან) ერთად აკომპანემენტს უწევს მომღე-
რალთა ჯგუფებს. პაჯუჯის დამკვრელები ას-
რულებენ ხოლო პარტიას, რასაც დანარჩენი
შემსრულებლები ეპასუხებიან.



მარაკეშის ცენტრალური მოედანი ჯემა ელ ფნა

ამასობაში, მოედანზე წრიულად ლაგ-
დება მანქანის აკუმულატორზე მიერთებული
პროპანის ლამფები და გამაძლიერებლები,
ხის მერხები, სკამები და სხვადასხვანაირი
დოლების პატარა კოლექციები. ამ ახალი
ჯგუფის ერთი წევრი მაყურებლებს აგროვებს
და ფულს სთხოვს სანახაობის დასაფინან-
სებლად. ეს ხშირად კეთილგანწყობილად და
კომიკურად კეთდება ამბებისა და ანეკდო-
ტების მოყოლით. როცა ხალხი და საკმარისი
თანხა შეგროვდება, მუსიკა იწყება. სხვადა-
სხვა ჯგუფის მიერ დაკრული მუსიკა ერთმა-
ნეთისგან განსხვავდება: ვეელაზე მეტად და-
სარტყამი საკრავები აქტიურობენ: დაირები,
სხვადასხვა არაბული დოლები, ზოგჯერ ფო-
ლადის კასრიც კი, რომელზეც ერთი შემსრუ-
ლებელი დიდი ენთუზიაზმით საკმაოდ დახ-
ვეწილად უკრავს და თან ცეკვავს სხვადასხვა
რიტმებზე. აქვე შესაძლოა ნახოთ პატარა გა-
მაძლიერებლებზე მიერთებული უდები: ზოგ-
ჯერ სიმების გარეშე ან კორპუსზე ხვრელე-
ბით, ასევე ხშირად შეხვდებით ვიოლინოს,
რომელსაც უკრავენ კალთაზე ვერტიკალურ
მდგომარეობაში დადებულს, ხემის მარცხ-
ნიდან მარჯვნივ მოძრაობით. ასევე უკრავენ
სხვადასხვა ტრადიციულ ბარბითს – ლოუ-
თარს ან გუბბრის. ეს ბერბერების ინსტრუ-
მენტები დამზადებულია თხის ტყავითა (კორ-
კუსი) და მრგვალი ჯოხით (ყელი). ეს
ჯგუფები ასრულებენ უფრო თანამედროვე
სიმღერებს მაროკოული ჯგუფის „ნას ალ
ლივანე“ რეგურტუარიდან და სხვა პოპულა-
რულ პენგებს. მაყურებელს რამდენიმე ზედ-
მეტი დირჰამის საფასურად შეუძლია შეკვე-
თის მიცემა. როგორიც არ უნდა იყოს საკრა-
ვების კომბინაცია ან შესრულებული სიმღე-
რები, დაწყებისთანავე მაყურებელი ტაშითა
და სიმღერით ყვება მუსიკას. აუდიტორიის
მონაწილეობა ჯამი ალ ფანას პოლირიტმული
მუსიკის განუყოფელი ნაწილია.

ჯამი აღ ფანას ქაოსური კულტურის შესაფასებლად ადამიანმა თვითონ უნდა განიცადოს ყველა ეს მოვლენა. მოედანი საკმაოდ დიდია, მუსიკა – საქმაოდ ხმამაღალი, საჭმელი საკმაოდ სურნელოვანი, ყოველივე ამის გამო, მოხეტიალე შემსრულებელთა და მაყურებელთა ჯგუფებისაგან იზოლაცია იქ მყოფი ადამიანისათვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მუსიკის, კულინარიისა და კულტურული ფენომენის სწორედ ეს ნახავი ქმნის ჯემაა ელფნას.

**ბენ უილერი
თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიის ტბების
ქართული ხალხური მუსიკის მოკლე
სასწავლო კურსის მსმენელი**

ქართველ ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები

მართვე

1976 წელს ანზორ ერქომაიშვილმა ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეს“. ესაა ქართველ ბიჭუნათა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ღვაწლმოსილი ანსამბლი, რომელმაც 37 წლის მანძილზე ხუთი თაობა აღზარდა, შედეგად, 1000-ზე მეტმა ბავშვმა შეისწავლა ხალხური სიმღერები.



„მართვეს“ I თაობა

„მართვეს“ თავისი საკონცერტო მოღვაწეობით, სატელევიზიო გამოსვლებით, რადიო ჩანაწერებითა და მოღვაწეობის სხვა ფორმებით წლების მანძილზე პოპულარიზაციას უწევდა ქართულ ხალხურ სიმღერას, რითაც მოზარდი თაობის დიდი ინტერესი გამოიწვია. თუ დღეს საქართველოში ასე მომრავლდა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები, ეს „მართვეს“ დამსახურებაც არის. ამ ანსამბლში აღზრდილი თაობები უკვე თავიანთ შეიღებს ასწავლიან ხალხურ სიმღერებს. ამით მათ ოჯახური მუზიკირების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აღადგინეს.

„მართვეში“ აღზრდილმა ბევრმა ყმაწვილმა პროფესიული მუსიკალური განათლება ჯერ 28-ე მუსიკალურ სკოლაში, თამაზ ანდლულაძის ხელმძღვანელობით მიიღო, შემდეგ კი მუსიკალური სასწავლებელი, კულტურის ინსტიტუტი თუ კონსერვატორია დაამთავრა. დღეს ისინი თვითონ აყალიბებენ გუნდებს, სიმღერას ასწავლიან ბავშვებს. 1995 წლიდან ანსამბლს ხელმძღვანელობს „მართვეში“ აღზრდილი მოღვარალი, ლოტბარი ვარლამ ქუბიძე.



„მართვეს“ ახალი თაობა

ანსამბლმა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აზიარა ქართული სიმღერის მადლს და ამით დიდი სამსახური გაუწია საქართველოს, მის კულტურას. თუმცა, ყველაზე დიდი დამსახურება ალბათ მაინც ისაა, რომ XX საუკუნის ბოლო მეოთხედში, როცა ლამის მოედი მსოფლიო ათასი ჯურის იაფფასიანმა მუსიკამ გადათელა და მოზარდთა ესთეტიკურ აღზრდას დიდი საფრთხე შეუქმნა, „მართვემ“ ხალხური სიმღერისკენ მოაბრუნა მომავალი თაობა და ეროვნული სულისკვეთება გაუდვიძა მას. დღეს სიმღერის სადაცები ხელო ახალგაზრდობას უპყრია, ეს კი სიმღერის უკვდავებას ნიშნავს!

„მართვეს“ 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე სცენაზე ანსამბლში აღზრდილი ყველა თაობის 1000-ზე მეტი ახალგაზრდა იდგა და „ჩაკრულოს“ აგუგუნებდა. ეს იყო სიმღერისა და სიყვარულის ნამდვილი ზეიმი, რომელმაც დაგვანახა, რომ ქართული ხალხური სიმღერის ბედი საიმედო ხელშია. ანსამბლის პირველმა თაობამ ეს თარიღი მართვეს დღედ გამოაცხადა. ამიერიდან ყოველი წლის 31 მაისს „მართვეს“ წევრები ზეიმით აღნიშნავენ.

ანსამბლმა თავისი არსებობის 35 წლის მანძილზე 1500-ზე მეტი კონცერტი გამართა, მონაწილეობა მიიღო არაერთ ტელე და რადიოგადაცემაში. კინორეჟისორმა ზაალ კაგაბაძემ გადაიღო ფილმი „მდევრის მართვე“. აწ განსვენებულმა კინორეჟისორმა გია მატარაძემ შექმნა ფილმი „შეიდი ნოველა სიყვარულზე“, რომელშიც „მართვეს“ ბიჭები მონაწილეობენ, როგორც მსახიობები და მომღერლები. ფირმა „მელოდიამ“ ანსამბლის რამდენიმე ფირფიტა გამოსცა, საიუბილეო დღესასწაულს მიეღდვნა წიგნი „მართვე 20 წლისაა“, იაპონურმა ფირმამ „ვიქტორმა“ კომპაქტურ დისკებზე გამოსცა ანსამბლის სიმღერები.

2011 წლის 8 აპრილს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის წინ ანსამბლ „მართვეს“ ვარსკვლავი გაიხსნა (ანსამბლის ვებ-გვერდია: www.martve.ge)

მძლევარი

საქართველოს „მსოფლიო ხალხური მუსიკის დედაქალაქად“ (ალან ლომაქისი), ხოლო ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედეგრად აღიარებამ განსაკუთრებულად აქტუალური გახადა მოზარდთა ეროვნულ მუსიკალურ საფუძველზე აღზრდის აუცილებლობა, რადგან ახალი თაობის ესთეტიკურ-მხატვრული აზროვნების ფორმირება სწორედ ბავშვობიდან ჩანერგილ ჩვევებზეა დაფუძნებული.



ამ ჭეშმარიტად მამულიშვილური საქმის სამსახურშია ვაჟთა პოპულარული ფოლკლორული ანსამბლი „მძლევარი“, რომელიც 1994 წელს შეიქმნა. მეცნიერთა ვარაუდით, სიტყვა „მძლევარი“ გალობის მნიშვნელობის შემცველ ძველქართულ ტერმინ „მნობას“ უნდა უკავშირდებოდეს. აკად. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „მნობა და მძნობარი უძველეს ხანაში გუნდობრიობასთან ყოფილა დაკავშირებული“. განმარტებითი ლექსიონის თანახმად, „მძლევარი“ დამძლევს, მჯობს ნიშნავს, ხოლო „სიტყვის კონაში“ მგალობელ გადამფრენ ფრინველადაა მოხსენიებული.

„მძლევარს“ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“-ის სოლისტები, მამა-შვილი – ტარიელ და კახაბერ ონაშვილები ხელმძღვანელობენ, რომლებიც ქართული სიმღერა-გალობის უძველესი ტრადიციების მატარებელი ონაშვილების საგვარეულოს ლირსეული წარმომადგენლები არიან. სასწავლო პროცესში ჩართული არიან ასევე უფროსი თაობის „მძლევარელებიც“: გიორგი ბაჯელიძე, არჩილ როინიშვილი, შოთა მიგრიაული და სხვები. მათი მიზანია ფოლკლორისადმი ინტერესი თანადათან სერიოზულ დამოკიდებულებაში გადაიზარდოს, რათა ხალხური სიმღერა ქართული ახალგაზრდობის ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად იქცეს.



„მძლევარში“ 50-ზე მეტი ყმაწვილია გართიანებული. იგი ხშირად მართავს კონცერტებს, მონაწილეობს ტელე-რადიო გადაცემებში, რითაც ხალხური მუსიკის პოპულარიზაციას ეწევა. თავისი არსებობის არც თუ დიდი ხნის მანძილზე „მძლევარმა“ მრავალი გამარჯვება მოიპოვა და ბავშვთა გუნდებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივის სახელი დაიმკვიდრა. ამ მიღწევათა შორის აღსანიშნავია: რესპუბლიკური ფესტივალის „ოქროს მართვე“-ს პირველი ხარისხის დიპლომი, საყმაწვილო პირველ მსოფლიო დელფინატი მონაწილეობა, თბილისის ფოლკლორის ფესტივალისა და ფესტივალ „მომავლის ხმების“ პირველი ადგილები, მოსკოვის საადგომო ფესტივალის ლაურეატობა, პრიზი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის პომორიეს (ბულგარეთი) მართლმადიდებლური ხმების ფესტივალზე, წარმატებული გამოსვლები მაკედონიაში, ბულგარეთში, ეგვიპტეში, შვეიცარიაში, სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში ანსამბლ „რუსთავსა“ და თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (ვახტანგ კახიძის დირიჟორობით).

„მძლევარის“ საშემსრულებლო რეპერტუარი სხვადასხვა კუთხისა და ჟანრის 80-ზე მეტ სიმღერას მოიცავს. ანსამბლს ორი კომპაქტ-დისკი აქვს გამოცემული (ანსამბლის ვებგვერდია: www.mdzlevari.ge)

ერქვანი

ვაჟთა ფოლკლორული გუნდი „ერქვანი“ შეიქმნა 2001 წელს ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის მუსიკალური სკოლის ბაზაზე. გუნდის ხელმძღვანელი და ლოგბარია მომღერალი კახაბერ შაქიშვილი, რომელიც უკვე ორი ათეული წელია მუშაობს ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლეში სიმღერის პედაგოგ-ლოგბარად და წარმატებით ზრდის მომავალ თაობებს. „ერქვანის“ მომღერლების ასაკი 8-დან 18 წლამდეა, გუნდის დღევანდელ შემადგენლობაში მე-4 თაობის მომღერლები დგანან, თუმცა მღერის მე-2 და მე-3 თაობის რამდენიმე წევრიც.

„ერქვანმა“ თავისი მოღვაწეობის 10 წლის მანძილზე ბევრ წარმატებას მიაღწია, არის მრავალი საერთაშორისო და ეროვნული ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატი, სამგზის „გრან-პრის“ მფლობელი.

აღსანიშნავია „ერქვანის“ წარმატებული საგასტროლო მოღვაწეობა, კერძოდ მონაწილეობა უკრაინისა და ლიტვის მსოფლიო ფოლკლორულ ფესტივალებში.

გუნდი თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოსთან და აღდგომისა და შობის დღესასწაულებზე გალობს სამების საკათედრო ტაძარში. ჩაწერილი აქვს ორი კომპაქტური დისკი, რომლებიც უანრობრივად განსხვავებულ სიმღერებს მოიცავს.



2008 წელს „ერქვანის“ მიენიჭა „ქართული კულტურის ნორჩი დესპანის“ წოდება, გახდა სახელმწიფო დიპლომის V-ვეგას მფლობელი (Diploma of V-Vega).

2011 წელს გუნდს 10 წელი შეუსრულდა, რასაც მიეძღვნა კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული საიუბილეო კონცერტი. ა/წ 17 აპრილს ვაჟთა გუნდ „ერქვანის“ მიენიჭა საქართველოს პროფესიულ კავშირთა გაერთიანების პრემია, დაჯილდოვდა წლის საუკეთესო ანსამბლის წოდებით. უახლოეს მომავალში იგეგმება მესამე კომპაქტური დისკის ჩაწერა, ასევე, გამგზავრება პარიზში სა-

გუნდო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად (ანსამბლის ვებ-გვერდია: www.erqvani.ge).

ლაშარელა

ანსამბლ „ლაშარის“ უმცროსი თაობა, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ლაშარელა“ შეიქმნა 1998 წ. მისი დამაარსებელია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი, ლოტბარი გიორგი უშიკიშვილი.

„ლაშარელას“ წევრები სკოლის მოსწავლეები არიან. ამიტომაც ხშირია თაობათა ცვლა. ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სიმღერას, მათ შორის, ისეთებსაც, რომლებიც ანსამბლ „ლაშარის“ წევრებმა აღადგინეს.

„ლაშარელა“ წარმატებით მართავს კონცერტებს საქართველოს რეგიონებში, მონაწილეობს ტელე და რადიო გადაცემებში, საქალმოქმედო კონცერტებში, უცხოეთში ჩაწერილი აქვს კომპაქტ-დისკი.

2009 წ. ანსამბლი საგასტროლოდ იმყოფებოდა ავსტრიაში, ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელზეც სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა.

2010 წ. „ლაშარელა“ მონაწილეობდა „ქართული კულტურის დღეებში“ თურქეთში და დაჯილდოვდა დიპლომით „საუკეთესო ფოლკლორული ნიმუშების წარდგენისათვის“.

2013 წ. აგვისტოში ანსამბლი მიემგზავრება ბულგარეთის ქ. ნერებარში საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე.



„ლაშარელა“ მუდმივად მონაწილეობს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ფესტივალებში: „მომავლის ხმა“, „მთაწმინდის ჰანგები“, „თბილისობა“, რომლებზეც მუდამ დიპლომებითა და სიგელებით ჯილდოვდება.

„ლაშარელას“ წარმატებებს დიდწილად განაპირობებენ გამოცდილი პედაგოგები და ლოტბარები, ანსამბლ „ლაშარის“ წევრები: უჩა პატარიძე, ლევან ულენტი და თორნიკე სხიერელი. ისინი თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან და ზედმიწევნით იცავენ გიორგი უშიკიშვილის მიერ ანსამბლში დამ-

კვიდრებულ ხალხური სიმღერების ავთენტური შესრულების პრინციპს.

ექსპედიციის დღიური ექსპედიცია ზემო აჭარაში (ქედის რაიონი)

აჭარა რაჭასა და სვანეთთან ერთად დღეს საქართველოს იმ კუთხეთა რიგს მიეკუთვნება, სადაც ჯერ კიდევ უდერს ტრადიციული ხალხური სიმღერა, არიან საკრავების ოსტატები და მოიპოვება მდიდარი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალა. ამ კუთხეს მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიციით არა ერთხელ სწვევიან ქართველი თუ უცხოელი მეცნიერები. მათგან შეიძლება დაგასახელოთ შალვა მშველიძე, დიმიტრი არაყიშვილი, თამარ მამალაძე, ვლადიმერ ახობაძე, ივებ გრიმო, კახი როსებაშვილი, მინდია უორდანია, ეპსევი ჭოხონელიძე, ედიშევრ გარაფანიძე, ნატო ზუმბაძე.



ფადიმე ლორთქიფანიძე
მომღერალი, მეფანდურე

2013 წლის აპრილის თვეში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების ორგანიზებით ამ კუთხეში მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიცია ჩატარდა. ექსპედიციის ხელმძღვანელი ამავე მიმართულების ღოქტორანტი, თეონა რუხაძე იყო, წევრები – ეთნომუსიკოლოგის მიმართულების მაგისტრანტები – თეონა ლომსაძე და სოფიკო კოტრიკაძე. მუშაობა ქედის რაიონის სხვადასხვა თემის რამდენიმე სოფელში ჩატარდა: მახუნცეთის თემი – ქვედა მახუნცეთი და ქვე-

და ბზუბზუ, ზვარეს სახოფლო საბჭო – ვაიო და კვაშტა, დოლოგნის თემი – დოლოგანი და ზემო აგარა, ცხმორისის თემი – ცხმორისი და კოკოტაური, დანდალოს თემი – დანდალო და ხარაულა, ოქტომბრის თემი – მექიძნა, მერისის თემი – დიდი მერისი და გუნდაური.

ექსპედიციამ გამოავლინა სხვადასხვა ასაკის რამდენიმე ინდივიდუალური შემსრულებელი და მომდერალთა ჯგუფი, ფანდურზე, ჩონგურზე, ჭიბონსა და გარმონზე შემსრულებლები, ჩავიწერეთ ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშები და ვიდეოფირზე აღვტექდეთ ხალხური თამაშობანი, მოვიპოვეთ საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა ლაზარობის, ბატონებისა და ქორწილის რიტუალებზე, ჩავწერეთ აგრეთვე ქედის რაიონში მოქმედი ფოლკლორული ანსამბლები – „ელესა“ და „იაგუნდი“.

საექსპედიციო მასალა სასიმღერო რეპერტუარის საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ადგილობრივი, აჭარული სიმღერების გვერდით („ხინწკალა“, „მაყრული“, „სუფრული“, „გოსა“ და ა.შ.) აქ ვხვდებით სხვადასხვა კუთხის სასიმღერო ნიმუშესაც. საინტერესოა, რომ დღემდე შემორჩენილი ე.წ. „ახალი ფორმაციის“ სიმღერებიც, როგორიცაა: „სტალინ, სტალინ, საყვარელო“, „სიმღერა აჭარაზე“, „განახლებული აჭარა“ და სხვ.

სიმღერათა უმეტესობა სამხმიანია, ერთ-ხმიანი სიმღერები ძირითადად ცალფა საფანდურო რეპერტუარით ან ნაწებით შემოიფარგლებოდა. ორხმიანი ნიმუშები კი საერთოდ არ შეგვხვედრია. როგორც ჩანს, ისინი აჭარაში თანდათან დავიწყებას ეჭლევა.

ქედის რაიონში ყველაზე გავრცელებული საკრავი ფანდურია. თითქმის ყველა სოფელში შევხვდით ამ საკრავზე შემსრულებლებს. აჭარული დასაკრავების გვერდით („ხორუმი“, „გადახვეული ხორუმი“, „განდაგანა“) ამ საკრავით თანხლებულ ცალფა სიმღერებასა და შაირებსაც შევხვდით. ფანდურის ფონზე აქ საკმაოდ დაჩრდილულია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ჩონგური.

ცალკე აღსანიშნავია ჭიბონი და მისი ტრადიცია აჭარაში. რაჭული გუდასტვირისაგან განსხვავებით, აჭარაში ჭიბონზე შესრულების ტრადიცია დღემდე ცოცხალია. ჩვენ მიერ ჩაწერილი სამივე მექიბონე თავად ამზადებს საკრავს და მოსწავლეებიც ჰყავს. საინტერესოა, რომ ცხობილმა მექიბონემ, ვასილ იორემაძემ ამ საკრავს მესამე მიღი დაუმატა და ორხმიანი ჭიბონი გაასამხმიანა. მისი მოსწავლეები დღემდე მისდევენ ამ ტრადიციას და ორმილიანი ჭიბონის გარდა სამმილიანსაც ამზადებენ.



ბიჭიკო დიასამიძე
მეჭიბონე

აღსანიშნავია, რომ ტრადიციული აჭარული დასაკრავების გვერდით („განდაგანა“, „ყოლსამა“, „შალახო“, „ხორუმი“) შეინიშნება ახალი ტენდენციაც – ისეთი სიმღერების ჭიბონზე გადატანა, როგორიცაა: „კეკელა და მარო“, „მთაში სალამურ ვაკვნესებ“.

ცალკე უნდა აღინიშნოს მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციებით მდიდარი სოფელი მერისი. აქ სიმღერა დღემდე უკვდავია. თითქმის ყველა ოჯახში ასრულებენ სხვადასხვა ტიპის სიმღერებს, მათ შორის აჭარული სიმღერების ადგილობრივ, მერისულ ვარიანტებსაც. ამ სოფელში ახალგაზრდებისაგან შემდგარი ანსამბლიც ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ ამ სოფლის მცხოვრებლებთან 2009-2010 წლებში თანამშრომლობდა ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგი ნინო რაზმაძე, რომელმაც მოამზადა და მათი მონაწილეობით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე 2010 წელს წარმადგინა საღამო „ერთი სოფლის ფოლკლორი“.



ანსამბლი „მერისი“

აქ ჩვენ ანსამბლთან ერთად მოხუც მომღერალთა ჯგუფი და ოურმანიძეების ოჯახიც ჩავწერეთ. აღსანიშნავია, რომ მერისე-ლების რეპერტუარი მართლაც გამორჩეულია დანარჩენი სოფლებისაგან. ამ სოფლის მაგალითი იმედს გაძლევს, რომ აჭარაში სიმღერას დავიწყება არ უწერია.

სოფიკო ქოტრიკაძე გ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრანტი



ჯგუფი „საუსეიას“

ჯგუფის რეპერტუარი თემატურად დაკავშირებულია სეზონურ დღესასწაულებთან (ზაფხულის ბუნიობა, ქრისტეშობა), ოჯახურ ტრადიციებთან (ქორწილი, დაკრძალვა), შოთმით აქტივობასთან (მეცხოველეობა, კოლექტიური მუშაობა ყანაში), გაზაფხულზე და ზაფხულში სახლის გარეთ სიმღერასთან (როგორაშანას, გავიღებანას), როდესაც სიმღერა გამოიყენებოდა, როგორც კომუნიკაციის, სიმღერითა და გარემოს სილამაზით გამოწვეული სიხარულის გამოხატვის საშუალება.

ჯგუფს მომზადებული აქვს სხვადასხვა ლატვიური კოკალური ტრადიციის რამდენიმე საკონცერტო პროგრამა; გამოშვებული აქვს ორი კომპაქტური დისკი (2007, 2012). ბოლო დისკი „ძიებიერ ძიებას, კოკორა“ აღიარეს 2012 წლის საუკეთესო ფოლკლორულ ალბომად. ეს ალბომი ეძღვნება ლატვიის ორი საუკლესიო მრევლის – შელპილისა და კარნავას ტრადიციულ მუსიკას, რომლებიც გამორჩეულია უნიკალური რეზონანსული მრავალხმიანი ჰარმონიითა და სეკუნდური ინტერვალების სიმრავლით. ამ კრებულის ყველაზე შთამბეჭდავი ნიმუშებია გაზაფხულის (როგორა) სამ- და ოთხ-ხმიანი სიმღერები. ამ სასიმღერო ტრადიციის არსებობის დამადასტურებელი საბუთებია 1891 წელს ანდრეის იურიანსის მიერ გაშიფრული მასალა და მწირი ეთნოგრაფიული ჩანაწერები.

ერთი უცხოური ფოლკლორული ანსამბლი ჯგუფი “საუსეიას” ლატვიიდან

ლატვიის კულტურის აქადემიის სალხური სიმღერის ჯგუფი „საუსეიას“ შეიქმნა 2003 წელს, ამჟამად ჯგუფში ცხრა წევრია: ივეტა ტალე (ხელმძღვანელი), მარიანა აილისიემა, კრისტინე იანსონე, ინდრა მეტრა, იანტა მეეა, სიგნე პუიატე, ვინეტა რომანე, იევა ტიპოვსკა და ვიია ვეინბერგა; ჯგუფის მიზანია შეისწავლოს და პოპულარიზაცია გაუწიოს ლატვიურ ხალხურ სასიმღერო ტრადიციებსა და ტექნიკას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მრავალხმიანი სიმღერის ადგილობრივ ტრადიციებს. ჯგუფის რეპერტუარშია ლატვიის სამ რეგიონში – ბურზემეში (დასავლეთი), სელონიასა (სამხრეთ-აღმოსავლეთი) და ლატგალეში (აღმოსავლეთი) ჩაწერილი ლატვიური ტრადიციული მრავალხმიანობის სხვადასხვა ტიპის ნიმუშები. ისინი არქაული ბურდონული სიმღერის სხვადასხვა ტიპებსა და თანამედროვე წარმოშობის სხვადასხვა ფორმებს განეკუთვნება. რეპერტუარის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება საარქივო ხმოვან ჩანაწერებსა და პირდაპირ კონტაქტს შემსრულებლებთან – ტრადიციის მატარებლებთან ექსპრესიების დროს. მუსიკალურ მასალაზე უფრო ამომწურავი შთამბეჭდილების შესაქმნელად ჯგუფის წევრები ასევე ინტერესდებიან სიმღერების ფუნქციური კონტექსტით, სიმღერის დროს გამოყენებული ტერმინოლოგიით, ამათუ იმ შემსრულებლის გამოცდილებით, ენით, დიალექტით და ა.შ.



სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის საკონცერტო პროგრამაში. სულ ახლანას – 2013 წლის აპრილში მას პქონდა სოლო კონცერტი პარიზის „Théâtre de la Ville“-ში.

ივანა ტალე
ჯგუფის ხელმძღვანელი

d. Teiceja.

Turpat. K. Blaubergera sainas dz.

Vilcejas:

1. Coleet, bra - ji, augstu se - tu, ro - ta, ro - ta, No - ta - lee - nes
2. Zi - da puš - ki, zid' ee - lo - ki, ro - ta, ro - ta, Sneedzes au - sta

Locitajas:

1. ma - sa na - ca, ro - ta - - - ja!
2. vil - nai - ni - te, ro - ta - - - ja!

გაზაფხულის სიმღერის ორგაშანას ხელნაწერი და გამოქვეყნებული ვერსია

ანსამბლმა ეს სიმღერები აღადგინა ეთნომუსიკოლოგებთან, ტრადიციული ვოკალური ტექნიკისა და დიალექტოლოგიის სპეციალისტებთან ერთად, ასევე შეამოწმა მათი ჰდერადობა ავთენტურ აკუსტიკურ გარემოში.



ჯგუფი „საუსეიას“ თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმზე უჩა პატარიძესთან (ანსამბლი „ლაშარი“) და თეა კასაბურთან (ანსამბლი „ნანინა“) ერთად

„საუსეიასს“ ჩატარებული აქვს კონცერტები ლიტვაში, ესტონეთში, საქართველოში, პოლონეთში, ბელარუსში, რუსეთში, ბულგარეთში, ავსტრიასა და საფრანგეთში. 2008 წელს ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო თბილისის

ქართული სიმღერის მოამაგეები ერქომაიშვილები

„სიმღერა ერის სულიერი სარკეა, ეს არის ხმოვანი ქრონიკა, რომელშიც აღბეჭდილია ერის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორიული პროცესი, ამიტომ არაფერი ინახავს ისე მამაპაპურ ტრადიციებსა და ქართულ სულს, როგორც სიმღერა. სიმღერა მარადიულია, როცა იგი თაობებს მიჰყვება, ხოლო კვდება, თუ მას ახალგაზრდობა ივიწყებს. თუ გინდა ხალხური სიმღერა შეინახო, იგი ბავშვებს უნდა ასწავლო. თუ ბავშვი პატარაობიდანვე შეისწავლის და შეიყვარებს ხალხურ სიმღერას, იგი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება... ამით ძველი ტრადიციებიც გადარჩება“ (ა. ერქომაიშვილი).

სწორედ ამგვარი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ერქომაიშვილების სახით ქართულ ხალხურ სიმღერას მოამაგედ არა ერთი ადამიანი, არამედ მთელი გვარი მოვკლინა, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, 300 წლის მუსიკალური ტრადიცია აქვს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ერქომაიშვილების გვარი გურიაში (და არა მარტო გურიაში) ხალხურ სიმღერასთან ასოცირდება. ხალხური სიმღერების მომღერალ-მგალობელთა ამ ტრადიციული ოჯახიდან (თომა, ივანე, გიორგი, გიგო და მისი ათი ქალ-ვაჟი, მათი შვილები და შვილიშვილები) განსაკუთრებით აქტიური მოღვაწეობით შეიძლება გამოვარჩიოთ გიგო და მისი სამი ვაჟი – არტემი, ანანია და ვლადიმერი და არტემის შვილიშვილი – ანზორ ერქომაიშვილი.

გიგო ერქომაიშვილი (1840-1947) 1840 წელს დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთში. მისი პირველი მასწავლებელი მამა – ივანე იყო, რომელიც განსაკუთრებული ხმით – გამყივანით ყველას ხიბლავდა. მოგვიანებით გიგო აკეთელ მომღერლებთან დაოსტატდა. 1870-იან წლებში იგი დაუახლოვდა ცნობილ მგალობელ-მომღერალს, საზოგადო მოღვაწეს, მღვდელს – ნესტორ კონტრიძეს, რომლის განაც მრავალი საგალობელი შეისწავლა. 20 წლის გიგომ გიორგი ბაბილონესთან (გამყივანი) და გიორგი იობიშვილთან ერთად შექმნა ტრიო, რომელიც ცნობილი გახდა მთელ გურიაში. მოგვიანებით გათ შეემატათ ივლიანე კეჭაყმაძე, ნანიკო ბურძელა და ერმილე მოლარიშვილი. ისინი სხვადასხვა სოფელში მოსმენილი სიმღერების საკუთარ ვარიანტებს ქმნიდნენ.



გიგო და არტემ ერქომაიშვილები

1907 წელს ბრიტანეთის საქციო საზოგადოება „გრამაფონის“ წარმომადგენლებმა ჩაწერეს და გრამფირფიტებზე გამოსცეს გიგოს ანსამბლის 49 სიმღერა. 1918 წელს გიგო, ანანია, არტემ და ლადიკო ერქომაიშვილები, გიორგი ბაბილონები და ნესტორ კონტრიძე თბილისში მოწვიეს და მათგან სიმღერები ჩაიწერეს ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორებმა: მელიტონ ბალანჩივაძემ, დიმიტრი არაყიშვილმა, ია კარგარეთელმა, კოტე მეღვინეობუცესმა, კოტე ფოცხვრაშვილმა და ანდრია ბალანჩივაძემ.

გიგო შესანიშნავი მენადურე ყოფილა – მასთან „ნადურის“ შესწავლის მოსურნეთა „ცოცხალი რიგი“ მდგარა. გარდა ამისა, გიგოსგან სიმღერა-გალობაც ბევრმა ისწავლა.

გიგო ერქომაიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა ხალხურ სიმღერას, ღრმად მოხუცებულიც კი გვერდში ედგა თავის შვილებს, რომელთაც ღირსეულად გააგრძელეს ოჯახის მუსიკალური ტრადიციები.

არტემ ერქომაიშვილი (1887-1967) თვითნასწავლი კომპოზიტორი, ლოტბარი, მომღერალი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გახლდათ. გურული სიმღერების შესრულებას ბავშვობაშივე დაეუფლა და პედაგოგიური მოღვაწეობაც ახალგაზრდობაში დაიწყო. ხელმძღვანელობდა ხალხურ გუნდებს მაკვანეთში, ბათუმში, ოზურგეთში, რომლებთან ერთადაც მართავდა კონცერტებს საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების სხვადასხვა ქალაქებში. რუსეთის მეცნიერებათა

აკადემიის ფონოგრამარქივში ინახება არტემის გუნდის რეპერტუარის ფონოგრაფზე ჩაწერილი იშვიათი ნიმუშები.

არტემს გალობის შესწავლის იშვიათი ნიჭი აღმოაჩნდა, მან დაახლოებით 2000 საგალობლის სამივე ხმა შეისწავლა და, შესაბამისად, სრული მგალობელი გახდა. საბედნიეროდ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების ლაბორატორიაში ინახება არტემის მიერ შესრულებული 200-მდე საგალობლის ჩანაწერი.



მები ერქომაიშვილები (მარცხნიდან მარჯვნივ: ანანია, არტემი და ვლადიმერი)

სწორედ მამის – გიგოსა და მმის – არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით შეისწავლა სიმღერა-გალობის საფუძვლები ანანია ერქომაიშვილმა (1891-1977). იგი 1918 წელს არტემ, ვლადიმერ და გიგო ერქომაიშვილებთან, ასევე გიორგი ბაბილონესთან ერთად მონაწილეობდა თბილისში გურული სიმღერების ნოტებზე ჩაწერაში. 1936 წლამდე ანანია ერქომაიშვილი არტემ ერქომაიშვილის გუნდის წევრი იყო, ხოლო 1936 წლიდან დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის სოლისტი გახდა. 1977 წელს საქართველოს რადიოში მისგან ჩაწერეს გურული სიმღერების სამივე ხმა. ანანიას მოქნილი, ფართო დიაპაზონის ხმა ჰქონია, ერთხაირი ოსტატობით ასრულებდა ბანს, წვრილსა და კრიმანჭულს. ანანია ერქომაიშვილს ქართულ ფოლკლორისტიკაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ვლადიმერ (ლადიმე) ერქომაიშვილმა (1897-1982) ოჯახში, უფროსი და-მმისგან შეის-

წავლა გურული სიმღერების სამივე ხმა, დედისგან კი – ჩონგურზე დაკვრა. იგი, ანანიას მსგავსად, წარმატებით მღეროდა ყველა ხმას: დამწერებს, მოძახილს, წვრილს, გამჟივანს, კრიმანჭულს, ბანს, შესანიშნავად უკრავდა ჩონგურზე, ფანდურზე, სალამურზე, დოლზე, გარმონზე, იყო კარგი მოცეკვავ.

17 წლის ასაკში ვლადიმერი მამის – გიგო ერქომაიშვილის ანსამბლში ჩაირიცხა. ოცი წლისამ კი პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო და სხვადასხვა დროს იყო აჭარის სახელმწიფო კაპელის მომღერალი და ხალხური სიმღერების მასწავლებელი, აჭარის ნავსაღგურის მტვირთავი მუშების გურულ-აჭარული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი, მახარაძის (ამჟამად ოზურგეთის) რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ლოტბარი. ამ ანსამბლმა ვლადიმერ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში არაერთი გამარჯვება და ჯილდო მოიპოვა.

1968 წელს ვლადიმერ ერქომაიშვილის ინიციატივით ქალაქ ოზურგეთში დაარსდა გურული ხალხური სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი სკოლა, სადაც თავადაც ასწავლიდა. 1979-81 წლებში იგი გურული სიმღერების შემსწავლელი ბაგშვთა სტუდიების კონსულტანტი იყო, 1979 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი ანსამბლ „ელესას“ ხელმძღვანელობდა.


ერქომაიშვილების ოჯახის ტრადიციების ღირსეული დამცველი და გამგრძელებელი, არტემ ერქომაიშვილის ვაჟის – დავითის (დათიკოს) შვილი, ანზორ ერქომაიშვილი 1940 წელს დაიბადა. მან გენეტიკურად მიიღო ხალხური მუსიკალური კულტურის, მისი საშემსრულებლო ტრადიციების ღრმა ცოდნა. როგორც ერქომაიშვილების მომღერალი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, 5 წლის ასაკში უკვე თავის მამასთან – დავითთან, ბაბუა არტემთან და დიდ ბაბუასთან – გიგო ერქომაიშვილთან ერთად მღეროდა ძველ გურულ სიმღერებს. იქიდან მოყოლებული, ბატონი ანზორი დღემდე დაუდალავად იღწვის არამარტო გურული, არამედ, მთლიანად, ქართული მუსიკალური ფოლკლორის მოკვლევა-აღმოჩებისა და პოპულარიზაციისათვის. იგი საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის და ზაქარია ფალიაშვილისა და ალბერტ შვაიცერის სახელობის პრემიების ლაურეატია.

ანზორ ერქომაიშვილმა დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. 1961 წელს თავის მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა ანსამბლი „გორდელა“, 1968 წელს კი ანსამბლი „რუსთავი“, რომელთან ერთადაც გასტროლებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. ანზორ

ერქომაიშვილმა ქართული სიმღერები შეასწავლა ბევრ უცხოელს აშშ-ში, საფრანგეთში, შვედეთში, იაპონიაში, ისრაელში, გაერთიანებულ სამეფოში, კანადაში და სხვა მრავალ ქვეყანაში.

1976 წელს, ანზორ ერქომაიშვილმა ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეს“. სამი ათეული წლის მანძილზე „მართვეში“ აღზრდილი თაობები დღეს უკვე თვითონ ხელმძღვანელობენ სხვადასხვა ანსამბლებს.

ბატონი ანზორი 40 წელია მუშაობს გრამოფონის ფირფიტების მოძიებასა და ადგენაზე, მან მსოფლიოს სხვადასხვა არქივებში მოიძია და მიაკვლია 500-ზე მეტ ქართული ხალხური სიმღერის ფონოჩანაწერს 1901-30 წლების ჩათვლით, რომლებიც გამოსცა ფირფიტებისა და კომპაქტდისკების სახით.



ანზორ ერქომაიშვილი

ანზორ ერქომაიშვილმა ათეული წლების განმავლობაში მოიარა საქართველოს ყველა რაიონი, ძველი მომღერლებისაგან ჩაიწერა და ნოტებზე გადაიტანა ქართული პოლიფონიური სიმღერების იშვიათი ნიმუშები, რომლებიც გამოსცა სანოტო კრებულების სახით. მათ შორის აღსანიშნავია: „სანოტო კრებული არტემ ერქომაიშვილის რეპერტუარიდან“. ასევე 2006 წელს გამოცემული 1901-50-იან წლებში ჩაწერილი ქართული სიმღერების კატალოგი და ნაშრომი: „ქართული ხალხური სიმღერების უნიკალური ფონოჩანაწერები 1901-1914 წლები“.

ბატონ ანზორს გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი: „ბაბუა“, „შავი შაშვი ჩიოდა“, „ხმა უცნაური“, „მივალ გურიაში მარა“ და სხვა. იგი ბევრი საინტერესო ნაშრომისა და გამოკვლევის ავტორია. საქართველოს ტელევიზიაში 20 წლის მანძილზე

მიჰყავდა პოპულარული ტელეგადაცემების ციკლი – „მრავალუამიერი“, რომელიც ქართულ ხალხური სიმღერების დაცვასა და მოვლა-პატრონობას ემსახურებოდა.

2001-06 წლების ჩათვლით ანზორ ერქომაიშვილი გახდათ 076ხსპოს ფოლკლორის კომისიის წევრი. სწორედ მან მოამზადა და 076ხსპო წარადგინა პროექტი სახელწოდებით „ჩაკრულო“, რის შემდეგაც, 2001 წლის 18 მაისს ქართული მრავალხმიანობა 076ხსპო „კაცობრიობის ზეპირსიტყვიერებისა და ხელოუქმნელი მემკვიდრეობის შედევრად“ აღიარა.

2001 წელს ანზორ ერქომაიშვილმა ჩამოაყალიბა ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. ქართული მისი სახით ქართულ ფოლკლორს საიმედო ქომაგი, ერთგული გულშემატკივარი და ოჯახური ტრადიციების სამაგალოთო დამცველი ჰყავს.

ერქომაიშვილების საშემსრულებლო ხელოვნება მართლაც რომ შეხმატკილების, გემოვნების სრული თანხვდომის იშვიათი ნაყოფია. ფორმისა და შინაარსის განუმეორებელი ერთიანობა და სისადავე მათ შესრულებას მთელ გურულ მუსიკალურ შემოქმედებაში გამორჩეულ ადგილს უმკვიდრებს. თამაბად შეიძლება ითქვას, რომ ამ გვარმა სიმღერით მოიხადა ქვეყნის ვალი.

მოამზადა მაკა ხარძიანმა
(გამოყენებულია მასალა წიგნიდან „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“. გურია, ერქომაიშვილები, ტ. II, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2004)

**უცხოელები ქართული ფოლკლორის
შესახებ
პიტერ გოლდი
ქართული ხალხური მუსიკა
თურქეთიდან**



პიტერ გოლდი

პიულებენის წინა ნომერში მოგითხოვთ ცნობილი ამერიკელი ეთნომუსიკოლოგის, ანთროპოლოგისა და ოქენოლოგის პიტერ გოლდის შესახებ, რომელიც 44 წლის წინ სტუმრობდა ჩეხებს ქვეყანას. 1968 წლის ზაფხულში პროფესორ გრიგორ ჩხიაძის რჩევით მან ექსპედიცია მოაწეო თურქეთში, სადაც იმოგ ზაურა როგორც ისტორიულ საქართველოში (რიზე, ართვინი), ისე მუჭაჯირი ქართველების სოფელ პაირიგში (ინგოლის რაიონი) და სტამბულში, სადაც ჩაიწერა ძირითადად ლაზური და აჭარული ხალხური მუსიკა: ლაზური საჭიბონე დასაკრავები, აჭარული სოლო და ორხმიანი სიმღერები, დასაკრავები აკორდეონზე.

პიტერ გოლდის მიერ ჩაწერილი მასალა ფასდაუდებელია: მას შემდეგ, 90-იან წლებამდე თურქეთის ქართველების სხვა ჩანაწერები არ მოგვეპოვება. ეს მასალა გამოიცა კომპაქტდისკის სახით: „ქართული ხალხური მუსიკა თურქეთიდან (1968)“, მას თან ახლავს გრემილი ანოტაცია, რომელშიც თავმოყრილია პიტერ გოლდის მიერ იმ დროისათვის მოპოვებული ისტორიულ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და მუსიკალური ცნობები „თურქეთის ქართველების“ შესახებ.

გთავაზობთ ანოტაციის მუსიკალური ნაწილის ფრაგმენტებს.

ლაზური მუსიკალური ტრადიციის ცენტრში დგას თურქმი (გუდასტვირი), რაც თურქელად ტყავს ნიშნავს. მისი წარმოშობა

მსგავსია კავკასიური გუდასტვირებისა (ჭობონი დასავლეთსა და გუდასტვირი აღმოსავლეთ საქართველოში). თურქმი შედგება თხის ტყავის გუდისა და მის ძირში ჩამაგრებული ლერწმის ორი სტვირისგან, რეზონანსის მოსამატებლად სტვირების ბოლოზე დამაგრებულია ცხოველის რქა.

თურქეთის აზიურ ნაწილში გუდასტვირზე მხოლოდ ლაზები და ქართველები უკრავენ. თრაკიელი თურქებისა და ბალკანელებისგან განსხვავებით, რომლებიც გაიდაზე უკრავენ, კავკასიაში თურქმი სტრუქტურულად უნიკალური ინსტრუმენტია. ბალკანეთსა და დასავლეთ ევროპაში გუდასტვირზე მხოლოდ ბურდონულ მრავალ ხმიანობას ასრულებენ, თურქმზე კი შესაძლებელია ორი დამოუკიდებელი, მობილური ბგერათრიგის შესრულება.

ლაზური სტილის თურქმის ერთ სტვირზე სრულდება მელოდია, ხოლო მეორეზე ხდება ორი ბგერის – ტონიკისა და მეშვიდე საფეხურის (დიდი სეკუნდით ქვემოთ) სწრაფი მონაცვლეობა, რაც ქმნის მელოდიურ-პერკუსიულ უვექტს. ზოგჯერ მეორე ხმა მელოდიასთან უნისონში ჟღერს.

თურქმი ძირითადად გამოიყენება, როგორც ცეკვის ან სიმღერის თანხმელები საკრავი. ინსტრუმენტლისტი/ვოკალისტი გუდას ჰაერით ავსებს, სიმღერის დროს სტვირს ლოფაზე იდებს, რათა ჰაერი გუდიდან არ გაუპაროს. ამგვარად, გუდაში რჩება მთელი სტროფის თანხმელებისათვის საჭირო რაოდენობის ჰაერი, ხელახალი ჩაბერვის გარეშე. შედეგად, ვიღებთ ერთგვარ სამხმიან ვოკალურ ნაწარმოებს: მომღერალი მღერის და, პარალელურად, თურქმის ერთ სტვირზე მელოდიის ვარიანტს ასრულებს, მეორეზე კი – კონტრაპუნქტს.

ჰაირიეში მხოლოდ ერთი ადამიანი უპრავს თურქმზე. ადრეული ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მისი დაკვრის სტილი ხასიათდება გაჭიმული ბგერის ფონზე შესრულებული მელოდიური ხაზით; აქცენტი კეთდება ამ ორ ხაზს შორის ჰარმონიულ ინტერვალზე. ამ მხრივ, ის განსხვავდება თურქმზე დაკვრის ლაზური სტილისგან. საზოგადოდ, დიდია ლაზურ სტილთან მსგავსება და ორივეს დაკვრა შესაძლებელია ქართული გუდასტვირის სტილის ზოგად ჩარჩოში, რაც ართვინულ ჩანაწერებში მკაფიოდ ჩანს.

თურქეთში მცხოვრები ქართველებისა და სხვა კავკასიური ჯგუფების: ჩერქეზების, აფხაზებისა და აზერბაიჯანლების მიერ ჩვეულებრივი და ლილაკებიანი აჯორდეონის (რუსულად – ბაიანი) გამოყენება აშკარად მიუთოებს ევროპულ გავლენას. მარმარილოს ზღვის რეგიონში აკორდეონის ყიდვა შეიძლება პრაქტიკულად ყველა მუსიკალურ მაღაზიაში.

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ინსტრუმენტი, ტემპერირებული წყობით ეკროპულია, მუსიკა ძირითადად კავკასიურია. რუსული აკორდეონისგან განსხვავებით, რომელიც მაჟორ-მინორული წყობისაა, ეს მუსიკა უფრო ენათესავება გუდასტვირის სტილს, სადაც თანხლების მელოდია ინდივიდუალური ბგერებისან შედგება.

ეკროპული გავლენა გუდასტვირზე მეტად აკორდეონზე შესრულებისას იგრძნობა, რომელიც კავკასიაში ცეკვის თანმხლები უპირველესი ინსტრუმენტია. აკორდეონზე შესარულებელი ბევრი სიმღერა, თავისი დიდი პოპულარობით შლის ეთნიკურ და პოლიტიკურ საზღვრებს, რის გამოც, შეიძლება პანკავკასიურად ჩავთვალოთ.

ართვინში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მუსიკალური ინსტრუმენტი არის ორლერიანი ჩასაბერი საკრავი, რომელიც თურქულ და ქართულ ენებში ცნობილია როგორც ზურნა. მისი მონათესავე ინსტრუმენტები მოიპოვება ბევრ ქვეყანაში ჩინეთიდან ესპანეთამდე. საქართველოში დამკვიდრებული ზურნის სტილი, ისევე, როგორც ვოკალური სტილი, ორნამენტების სიმცირით განსხვავდება თურქულ და სხვა მუსილიმურ კულტურებში არსებული სტილისაგან; ართვინის ზურნის მუსიკა ორივე კულტურის მახასიათებლებს შეიცავს.

* * *

ხორონი – ლაზების გამორჩეული ცეკვა, რომელსაც ასრულებენ, როგორც მთაში, ისე სანაპირო ზოლში მცხოვრები ლაზები, სტილითა და მუსიკის რიტმით აშკარად ბალკანურსა და ბერძნულს ჰგავს. ლაზების ფეხის მოძრაობები ბულგარულ ცეკვაშიც გვხვდება, სახელწოდებას „ხორონი“ აქვს საერთო ფუძე ბერძნულ, ბულგარულ და რუმინულ ენებში ცეკვის აღმნიშვნელ სიტყვებთან: ქოროს, ხორო და ხორა.

ბალკანურთან მსგავსება ჩანს ასიმეტრიული ზომის გამოყენებაშიც, რომელიც სხვადასხვა კომბინაციებად დაჯგუფებული მოკლე და გრძელი გრძლიობებისაგან შედგება. ლაზებისა და ბულგარელებისათვის საერთო 5/8 ზომა, რომელიც ბულგარეთში ცნობილია როგორც პაიდუშკო, წარმოადგენს მოკლე გრძლიობისა (მეოთხედის) და უფრო დიდი გრძლიობის (წერტილიანი მეოთხედის) მონაცვლეობას (2/8+3/8). ლაზებთან ასევე გახვდება 7/8 ან 7/16 ზომა, რომელსაც ბულგარეთში რუსიცას უწოდებენ. ის შედგება ორი მოკლე და ერთი გრძელი გრძლიობისაგან. ხორონი მუსიკის თანხლებითაც სრულდება.

ინსტრუმენტალისტების შეძახილები მოცეკვა-ვებს კიდევ უფრო აგულიანებს.

ბალკანეთში ცეკვის მსვლელობას აკონტროლებს ცეკვის წინამდლოლი, რომელიც ჩვეულებრივ მწერივს წინ მიუძღვის. ლაზურ ცეკვას ხელმძღვანელობს მუსიკოსი, რომელიც თულუმზე ან ქემენეზე უკრავს. ის „ინსტრუმენტებს“ გასცემს ხმამაღალი შეძახილებით, როგორიცაა მაგ. ბოზმა ჭორონი (ცეკვა არ გააფუჭო), ან ხალამა ქოლინი (მკლავს ნუ იქნევ), დელი ქანლი (ყმაწვილო! [ცეხლ სისხლიანო]) და გიო ჰას (წინ წადი, ნაბიჯი უკან!).

* * *

ქართველების რეპერტუარში ორი სტილისტური შრეა: 1) ძელი კავკასიური, და 2) სხვა წარმოშობის, რომელიც გვიჩვენებს გვრცელ და აღმოსავლურ გავლენებს.

ძელი კავკასიური მუსიკალური სტილი გვალაზე ნათლად ვოკალურ მუსიკაში ჩანს. თურქული ხალხური და პოპულარული მუსიკისგან განსხვავებით, ქართულ ვოკალური სტილი ხასიათდება უფრო გახსნილი, დაუჭიმავი, ორნამენტებისგან თავისუფალი ხმით. კავკასიაში მხოლოდ ქართველებსა და აფხაზებს აქვთ განვითარებული მრავალხმიანობა (თუმცა, მრავალხმიანობა გვხვდება დაღესტნელებთან და ოსებთანაც). სამხრეთ კავკასიის მთიანი ტრადიციული გამოყოფილ თითოეულ ქართულ რეგიონულ ჯგუფს აქვს საძუთარი სტილის ვოკალური მრავალხმიანობა. აღმოსავლეთ საქართველოში მელიზმებიანი მელოდიები გაბმული ბანის ფონზე სრულდება, ხოლო დასავლეთში გვხვდება სამხმიანი აკორდული სტრუქტურები და უკიდურესად ლინეარული მრავალხმიანობა. აქარაში გვხვდება ადგილობრივი ორ-, სამ- და ოთხხმიანი მრავალხმიანობა.

სოფელ ჰაირიეში ყოფილი შავშელების რეპერტუარი არის ორ-ხმიანი მრავალხმიანობა, რომლის კლასიფიკაციაც შესაძლებელია ბანის ხაზის ბუნების მიხედვით. ოსტინატური ბანი საქართველოს ყველა რეგიონულ სტილში გვხვდება. ჰაირიეში ის გვალაზე ხშირად გამოიყენება ზოგიერთი სიმღერის მეორე ნაწილში („ფაჭვის სიმღერა“ და „ვოსა ვორერა“), თუმცა შესაძლოა მთელ სიმღერასაც გასდევდეს („ნანინა“).

ბევრი სიმღერა სრულდება ორი ანტიფონური გუნდის მიერ, ანუ ორი სოლისტი შესაბამისი სამი ან მეტ წევრიანი გუნდების თანხლებით მონაცვლეობით ასრულებს მელოდიას (ანუ როგორც მას ეძახიან ლუქსები). ბანის პარტია სრულდება მნიშვნელობის არმქონე მარცვლებით: ჰე, ჰო, ჰა. ჯგუფური სიმღერის სხვა ფორმაა რესპონსორული მღერა. სოლისტების მიერ შესრულებულ მოკლე იმპ-

როვიზებულ ფრაზას გუნდი მისამდერით პასუხობს („თირინი ჰორერამა“).

სამწუხაროდ, ამ სიმდერების უმრავლესობა გაქრობის პირასაა, ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ახალგაზრდების თურქიზაცია, შედეგად, მათ მიერ ძველი სიმბოლოებისა და ტრადიციების დაუფასებლობა; მასშედის გავლენა: თურქული სტილის ხალხური და პოპულარული მუსიკის მოზღვავება რადიო არხებსა და ფირფიტებზე. და ბოლოს, ახალგაზრდობის მიერ სოფლების მასიურად დატოვებისა და თურქეთისა და სხვა ქვეყნების დიდ ურბანულ ცენტრებში გადასვლის გამო ადგილებზე აღარ არის ტრადიციის გამგრძელებელთა საჭირო რაოდენობა. დღევანდელ სიტუაციაში მხოლოდ მოხუცების წყალობითაა შემორჩენილი „დედოფლის სიმდერა“ და „ვოსა ვორერა“.

სიმდერების უმრავლესობას ცვალებადი ტექსტი აქვს, რაც დამოკიდებულია სოლისტის მეხსიერებასა და სურვილზე. რადგან ბანის ტექსტი ყოველთვის მნიშვნელობის არმქონე მარცვლებისგან შედგება, არ არსებობს პოეტური (მელოდიური) ხაზის კოორდინაციის საჭიროება. ამგვარად საგუნდო მუსიკა, ერთდროულად, არის საკმაოდ დემოკრატიული, იმ მხრივ, რომ ნებისმიერ კარგ მომღერალს შეუძლია აჟყვეს ბანის პარტიას და, ამასთანავე, მხატვრული თვალსაზრისით, მომთხოვნი, ვინაიდან მხოლოდ ცალკეულ პირს შესაძლოა ქონდეს სოლო პარტიის შესრულების კვალიფიკაცია.

პაირიებში ქალებს ცალკე მუსიკალური ტრადიცია აქვთ. მამაკაცთა სიმდერებისგან განსხვავებით, მათი გუნდური სიმდერები მრავალხმიანი არ არის. ქალთა რეკურტუარი ძირითადად შედგება *a capella* საცეკვაო სიმდერებისგან, თუმცა, ზოგი სიმდერა აკორდეონის აკომპანიმეტით სრულდება, არის ასევე განსაკუთრებული სოციალური დანიშნულების სიმდერები, მაგალითად – ტირილები. მათი ტექსტები, როგორც წესი, უცვლელია, მიუხედავად გარდაცვლილის ვინაობისა. იცვლება მხოლოდ გარდაცვლილის სახელი, მაგ.: ჩემო ძმავ, ჩემო დედავ და ა.შ. მოკლე ფრაზებიანი სტროფები და მელოდიის დამახალი ხაზი დამახასიათებელია ქართული ტირილებისთვის.

მამაკაცთა ლირიკულ-სატრფიალო სიმდერებში გვხვდება 17-19 საუკუნეების სპარსული, სომხური და თურქული გავლენის მქონე ქართული ქალაქური ხალხური სიმდერების ნიშნები. მათი კილო ძველ კავკასიურ სტილში არ გვხვდება, თუმცა ჩვეულებრივი მოვლენაა ბევრ აღმოსავლურ მუსიკაში. სიმდერების ტექსტში ბევრი თურქული „მინარევია“.

ქართული კულტურისა და მეცნიერების კერები სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმი



მუზეუმის ისტორია 1852 წლის 22 მაისს დაიწყო. თავდაპირველად ის რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი გახდდათ. 1865 წელს გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმის ბაზაზე, გუსტავ რადეს ინიციატივით, კავკასიის მუზეუმი ჩამოყალიბდა. 1867 წელს მან პირველი გამოფენა მოაწყო და აქტიური მონაწილეობა მიიღო 1881 წელს ჩატარებულ არქეოლოგთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. 1919 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავარ მუზეუმს საქართველოს მუზეუმი ეწოდა. 1921 წელს ის დაექვემდებარა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს. 1941 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე მის სისტემაში შევიდა. 1947 წელს მუზეუმს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელი ეწოდა.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შენობა აგებულია რუსთაველის პროსპექტზე 1913 — 1929 წლებში (არქიტექტორი გ. ნებრინცევი, ფასადის არქიტექტურა ეკუთვნის არქიტექტორ ნ. სევეროვს და იმ დროის ქართული არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია). ესაა საქართველოს ისტორიისა და ბუნების ცენტრალური მუზეუმი, რომელიც, ამავდროულად სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლ დაწესებულებაცაა. იგი მოიცავს პუმანიტარულ (არქეოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ნუმიზმატიკა) და საბუნებისმეტყველო (გეოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია) დარგებს. მუზეუმში თავმოყრილია არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიისა და მახლობელები აღმოსავლეთის ბუნებისა და მოსახლეობის მატერიალური კულტურის ისტორიის ამსახველი დიდადი პირველხარისხოვანი მასალა. მუზეუმში 1984 წლის 31 დეკემბრისათვის 1 006 520 ექსპონატი ირიცხებოდა. მის ფონდში შედის უმდიდრესი არქო-

ლოგიური კოლექციები უძველესი დროიდან ანტიკური ხანის დასასრულამდე (ახ. წ. IV საუკუნე), შეუა საუკუნეების (V—XVIII საუკუნეები) საქალაქო ცხოვრებისა და მატერიალური კულტურის, ასევე, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და რევოლუციური მოძრაობის, საბჭოთა პერიოდისა და დღევანდველი მიღწევების ამსახველი მასალები, უძველესი ტრადიციებისა და XIX საუკუნის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული კოლექციები, მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა, გეოლოგიის, ბოტანიკის და ზოოლოგის ვრცელი ფონდები, მათ შორის უნიკალური ძეგლები: ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული უძველესი ნივთები კახეთის ყორდანული სამარხებიდან (ძვ. წ. III ათასწლეული), ძვ. წ. II ათასწლეულის სახელგანთქმული ოქროსა და ვერცხლის თასები და სხვა ინვენტარი თრიალეთის ყორდანებიდან, ვანის,



თრიალეთის ვერცხლის თასი რიტუალური ფერხულის გამოსახულებით (ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის დასაწყისი)

ახალგორის, ალგეთის სამარხეულ კომპლექსებში შემავალი სიუკელირო ხელოვნების შედევრები (ძვ. წ. VI—IV ს.ს.), მცხვთაში, არმაზისებში, არმაზისხევში, ზღვდერში, კლდეუთში და სხვაგან გათხრების შედეგად აღმოჩენილი, ქართული ოქრომჭედლობის შემდგომი განვითარების დამადასტურებული ოქროს სამკაულები (I—IV საუკუნეები), მდიდარი გლიპტიკური მასალა და სხვ., ურარტული ეპიგრამული იშვიათი კოლექცია (ძვ. წ. VIII—VII საუკუნეები), ვესასიანებს წარწერა (ახ. წ. I ს.), არმაზის ბილინგვა (ახ. წ. II ს.), უძველესი ქართული წარწერა ბოლნისის სიონიდან (ახ. წ. V ს.), შუხუთის მოზაიკა (ახ. წ. IV — V ს.ს.), ხის კარების კოლექცია, მათგან იშვიათი ნახელავი კარი ჩუქულის ეპლესიდან (XI ს.), დამანისის ვერცხლის სამკაულის განმი (XII ს.), ლითონის ჭურჭლის კოლექცია, მათ შორის სპილენძის თევზები ვახტანგ VI-ის, მეფე ბა-

ქარის, თევზები ბატონიშვილის წარწერებით (XVIII ს.) და თევზები წარწერით „ქ. სააკაძის გიორგისა და შიო შისა ვარ“ (XVII ს.), ერკლე II-ის წარწერიანი ჯამი, 2 თოფი და ხმალი, ბაქარისა და სოლომონ II-ის თოფები (XVIII ს.) და სხვ.

ეთნოგრაფიული მასალებიდან აღსანიშნავია სახვნელი იარაღები, მათგან „ქართული დიდი გუთანი“, კერამიკული ჭურჭელი წარმოების ყველა ცენტრიდან, ქართველ ოსტატთა ნახელავი ვერცხლის ნივთები და იარაღი, ქართველ და სხვა კავკასიელი ხალხების ტანსაცმლის უიშვიათესი კოლექცია, აღმოსავლეული საბრძოლო იარაღი და სხვ.; ქართული მონეტების უმდიდრესი კოლექციიდან — უიშვიათესი — კოლხეთის მეფის აკეს ოქროს სტატერი (ძვ. წ. III ს.), ლაშა გიორგის სპილენძის მონეტა (XIII ს.), განძები ვერცხლის რომაული მონეტებისა სოფელ ეკიდან (907 ც.), თამარ მეფის სპილენძის მონეტებისა სოფელ ევჯინიდან (2759 ც.) და სხვა; გეოლოგიური ფონდიდან — პირველი მონაპოვარი სსრკ-ში — უმაღლესი ადამიანის მსგავსი მამუნის ნაშთი, მესამეული ხანის სპილოს ჩონჩხის სოფელ ტარიბანიდან, მონოგრაფიულად შესწავლილი უხერხემლო ფაუნის ორიგინალები, ტიპური ფორმები და სხვა რეგიონებისა და ქვეყნების ფლორის ჰერბარიუმი, მათ შორის — კავკასიის ფლორის XIX საუკუნის მკვლევართა კოლექციების მნიშვნელოვანი ნაწილი, მრავალი სახეობის პირველადი აღწერის ნიმუში — ნომენკლატურული ტიპები და სხვა კოლექციები ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფებიდან, მათ შორის ენდემები, რელიეფები, იშვიათი ან დღეს უკვე ამომწყდარი ცხოველების სახეობები.

ეთნომუსიკოლოგებისათვების განსაკუთრებით საინტერესოა მუზეუმში დაცული თრიალეთის ვერცხლის თასი, რომელზე გამოსახული საკულტო რიტუალი ორგანიზებული ფერხულით სრულდება, რაც ჩვ. წ. აღ-მდე II ათასწლეულში საქართველოში ამ ეანრის კულტივირებაზე მეტყველებს და საფერხულო შესრულების არქაულობას ადასტურებს.

გარდა ამისა, მუზეუმში დაცულია უძველესი მუსიკალური საკრავი — თანამედროვე თევზების პროტოტიპი — წინწილა, რომელიც ბრინჯაოსგანაა დამზადებული და თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულით. წინწილა, სულხან-საბას განმარტებით, სასიამოვნო ხმა ჰქონია. გამოიყენებოდა საგალობლების სათანხლებოდ, როგორც ციური ხმების სიმბოლო, ასევე ლინის, მაღალი სოციალური წრეების საზეიმო რიტუალებსა და გლოვის ახსნის დროს, ზოგიერთი ვარაუდის თანახმად — ბრძოლის ყიუინისათვისაც კი. წინწილი საკრავთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც დღეს დაკარგულია. მუზეუმის არ-

ქეოლოგიური მიმართულების გამგემ, ბატონმა მინდია ჯალაბაძემ, საშუალება მოგვცა, ფოტოები გადაგვეღო ჩვენთვის საინტერესო ნივთებისათვის და ინფორმაციაც მოგვაწოდა მათ შესახებ, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.



მინდია ჯალაბაძე – მუზეუმის
არქეოლოგიური მიმართულების გამგე

მანვე დაგვაკავშირა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მუსიკალური საკრავების მკვლევართან – ქალბატონ ვერა ჩიხლაძესთან, რომელსაც ძველ საკრავებზე სპეციალური ნაშრომი აქვს მომზადებული გამოსაცემად. ქართველ ეთნომუსიკოლოგთან ცოტა მკვლევარი შეეხო ამ საკრავებს. წინწილები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშია მოპოვებული. ამ საკრავს საჟღარუნებელ, (ო. ჩიჯავაძე), საჩხაკუნებელ ან საჩხარუნო (ივ. ჯავახიშვილი), სახმაურო (დ. არაყიშვილი), დასარტყელ იდიოფონებად (მ. შოლაკაძე) მოიხსენიებენ.



ჟინვალის სამაროვან სამარხებში აღმოჩნდილი წილა (ას. წ.აღ. III-IVსს)

გარდა წინწილისა, მუზეუმში ინახება ასევე საჩხარუნებელი საკრავი, რომელიც მსოფლიოს ბევრ ხალხთან გვხვდება და უმეტესად მისი სოციალური ფუნქცია ავი სულების გაფრთხობაა. ასეთ საჩხარუნოს ხშირად ცეკვის რიტმის ხაზგასასმელად იყენებდნენ, შესაძლოა იგი ბავშვის გასართობი თანამედროვე საჩხარუნოების პროტოტიპიც იყოს, რომელსაც უძველეს დროში ჩვილ ბავშვს თავისდაუნებურად ავი სულების განსაღევნად აძლევდნენ. როგორც ბატონმა მინდიამ გვითხრა, ეს თიხის საჩხარუნებელი სულ მცირე – 28 საუკუნისაა.



სამეცნიელოში, სოფელ ბუხურჩაში აღმოჩნდილი „საჩხარუნო“. თარიღდება დაახლ. ძვ. წ.აღ. VIII-VIIIსს.

რამდენიმე წლის განმავლობაში მუზეუმში მიმდინარეობდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა დასრულების შემდეგ, 2011 წელს, მუზეუმმა დამთვალიერებელს კვლავ გაუდო კარი. გაიხსნა მუზეუმის საგამოფენო დარბაზების ერთი ნაწილი. ამჟამად მუზეუმი 1 200 000 ექსპონატს ინახავს.

განახლებულ მუზეუმში ამჟამად შევიძლიათ იხილოთ მუდმივი გამოფენა „არქეოლოგიური საგანძური“, ასევე სხვადასხვა დროებითი გამოფენა.

მუზეუმის ვებ-გვერდის მისამართია www.museum.ge

**მოამზადეს ქეთევან ბაიაშვილმა
და მაკა ხარძიანმა**

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები ანსამბლი „დარბაზი“ კანადიდან

ის, რაც დაიწყო 20 წლის წინ – თვეში ორჯერ ვინგესთან ბინაზე შეკრება შორეული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან მოსული, უცნაური პოლიტონიური სიმღერების სამღერლად – გადაიზარდა აუხსნელ და თავაწყვეტილ გატაცებაში 12 მომღერლისათვის, რომლებიც დღეს ქართული ხალხური სიმღერის კოლექტივის – „დარბაზის“ წევრები არიან. „დარბაზი“ წარმოადგენს პროფესიონალი და მოყვარული, ქართული სიმღერისადმი დიდი სიყვარულით გამსჭვალული მუსიკოსებით დაკომპლექტებულ მომღერალთა გუნდს, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე რამდენიმე, ერთობ საინტერესო ტრანსფორმაცია განიცადა; თუმცა, მიუხედავად ყველა ცვლილებისა, ამ წლების განმავლობაში კოლექტივის მთავარ მიმართულებას მუდმივად განსაზღვრავს მისი წევრების იდუმალი ლტოლვა, რომელიც გამოიხატება ქართული ხალხური სიმღერის არა მარტო შესრულებაში, არამედ მის ღრმა, შინაგან განცდაშიც.



ანსამბლი „დარბაზი“ თბილისის VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე

„დარბაზი“ დაარსდა 1995 წელს ტორონტოში, ამერიკული ტრიო „კავკასიის“ წევრის, ალან გასერის ინიციატივით, რათა თავის საყვარელ კოლექტივს მოწყვეტილს, აქაც მისცემოდა შესაძლებლობა, ემღერა ქართული სიმღერები. მაგრამ სულ მალე „დარბაზი“ გადაიზარდა ნამდვილ, მოქმედ კოლექტივში – ყოველკითხული რეპეტიციებით და ხშირი კონცერტებით ონტარიოში, კეხეგვა და ნიუ-ფაუნდლენდში. ამგვარი აქტიური მოღვაწეობის მიუხედავად, გუნდისთვის მთავარი გარდამტები მოვლენა იყო 1997 წელს მისი რამდენიმე წევრის სტუმრობა საქართველოში, რომლის დროსაც მათ შესაძლებლობა მიეცათ, უშუალოდ გამოეცადათ არაჩვეულებრივი ქართული სტუმართმოყვარეობა და გაეთვითცნობიერებინათ ქართული ხალხური მუსიკა, როგორც ამ საოცარი ფენომენის უფრო ფართვე, კულტურული ექსპრესიის ნაწილი. მოგვი-

ანებით, ანისხატის ტრიომ (მალხაზ ერქვანიძის, დავით შუღლიაშვილის და ზაზა წერეთელის შემადგენლობით) თავისი აღმაფროთვანებელი სიმღერითა და მასწავლებლობის უნარით კიდევ უფრო გააღრმავა ეს გრძნობა და მათი ტორონტოში ყოვნის დროს დაუკიტვარი ქართული გამოცდილება შესძინა „დარბაზის“ წევრებს.



ანსამბლი „დარბაზი“

საკმაოდ უცნაურ გარემოებათა დამთხვევით, ამ ვიზიტიდან ერთი წლის შემდეგ, „დარბაზი“ ტორონტოში შემთხვევით შეხვდა ექვსი მომღერლისგან შემდგარ და კანადაში ემიგრაციაში მყოფ ქალაქ რუსთავის გუნდ „ჰერეთს“. „დარბაზი“ და „ჰერეთი“ ხშირად ატარებდნენ დროს ერთად. თავდაპირველად ეს ურთიერთობა, ძირითადად, სიმღერით შემოიფარგლებოდა, რადგანაც „დაბაზისა“ და „ჰერეთის“ წევრებს შორის ენობრივი ბარიერის არსებობა სხვა არაფრის საშუალებას იძლეოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, „ჰერეთს“ ტორონტოში სიმღერის უამრავი შესაძლებლობა მიეცა. გუნდი მდეროდა ქორწილებზე, სახასალწლო სუფრებზე, საოჯახო დღესასწაულებზე და რამდენიმე კონცერტშიც მოუწია მონაწილეობის მიღება.

სამწუხაროდ, მათი თანამშრომლობა მალე დასრულდა, რადგანაც „ჰერეთის“ წევრთა ნაწილს ტორონტოდან სხვა ქალაქებში მოუწია საცხოვრებლად გადასვლა. მიუხედავად ამისა, საბედნიეროდ, ამ ურთიერთობანამშრომლობამ ერთობ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ნაყოფი გამოიდო. „ჰერეთის“ გუნდის ერთ-ერთი წევრი, შალვა მახარაშვილი არა მარტო ტორონტოში დარჩა საცხოვრებლად, არამედ თვითონ ითვა „დარბაზის“ სამხატვრო ხელმძღვანელობა, მას შემდეგ, რაც გუნდის დამაარსებელმა, ბ-მა ალან გასერმა 2003 წელს ანსამბლი დატოვა. შალვას ხელმძღვანელობა განაპირობებს გუნდის სიახლოეს ქართულ ტემპერამენტთან და დადებით გავლენას ახდენს ანსამბლის მიერ

შესრულებული ქართული სიმღერების ავთენტიკურ, ქართულ ჟღერადობაზე.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმ გეოგრაფიული სიშორისა, რომელიც არსებობს საქართველოსა და კანადას შორის (რაც კანადიდან საქართველოში მოგზაურობას ერთობ ართულებს), „დარბაზის“ თითქმის ყველა წევრი თუნდაც ერთხელ მაინც არის ნამყოფი საქართველოში, რათა ქართული ხალხური სიმღერის ცნობილი ოსტატების ხელმძღვანელობით დაუფლებოდა ქართულ სიმღერას. სამწუხაროდ, გუნდის წევრთა მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია გაიღოს საქართველოში მოგზაურობასა და სწავლასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები, ამიტომ ტორონტოში დაბრუნებისთანავე შესწავლილი სიმღერები გუნდის დანარჩენ წევრებს გადაეცემათ საქართველოში გაკეთებული აუდიოჩანაწერების მეშვეობით. ყოველი ასეთი კოლექტიური მოსმენა და ანალიზი შალვა მახარაშვილის ხელმძღვანელობით წარიმართება. ეს შესწავლის ჩვეულებრივი პროცესია ყველა იმ სიმღერისთვის, რომელიც ჩართულია „დარბაზის“ რეპერტუარში. იმ შემთხვევებშიც კი, როცა ამა თუ იმ სიმღერის შესწავლისას ნოტები გამოიყენება, პროცესს ყოველთვის თან ახლავს ტექსტის აზრის განმარტება, ფონეტიკური კომპონენტი, კულტურული კონტექსტის ინტერპრეტაცია და სხვადასხვა ქართველი მომღერლის მიერ შესრულებული ამავე სიმღერის აუდიოჩანაწერების კოლექტიური მოსმენა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იღებს რა უხვ ქებას ქართველი მომღერლებისა და ეთნომუსიკოლოგებისგან, „დარბაზს“ თითქმის არავითარი მხარდაჭერა არა აქვს ტორონტოს ქართული სათვისტომოსაგან. მიუხედავად ამისა, ანსამბლმა შეძლო თავისი ადგილი დაემკვიდრებინა ტორონტოსა და კანადის მუსიკალურ სცენაზე. 2008 წელს იგი გავიდა კანადური რადიოს მიერ ორგანიზებული, სამოყვარულო საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსის ფინალში (the Canadian Broadcasting Corporation's Amateur Choral Competition - Pan Cultural Traditions) სადაც 400 მონაწილე კოლექტივიდან მეორე პრემიის ლაურეატის წოდება დაისაკუთრა. გარდა ამისა, იგი აქტიურად თანამშრომლობს და წარმატებულ ერთობლივ კონცერტებს მართავს ისეთ ცნობილ კანადურ პროფესიონულ კოლექტივებთან, როგორიცაა Shevchenko Ukrainian Ensemble (შევჩენკოს სახელობის უკრაინული ანსამბლი – ერთობლივი კონცერტები 2007 და 2012 წლებში), VIVA! Youth Choir (ახალგაზრდული გუნდი „ვივა!“- ერთობლივი კონცერტი 2011 წელს), Aradia Early Music Ensemble (ადრეული მუსიკის ანსამბლი „არადია“ – ერთობლივი კონცერტი 2012 წელს), Small World Music Festival (ფესტივალი „მსოფლიო მცირეა მუსიკისთვის“ 2010

წელი), SING! Festival (მუსიკალური ფესტივალი „იმღერე!“ - 2012 და 2013 წლები) და მრავალი სხვა.


მიუხედავად იმისა, რომ დარბაზის წევრებს უდიდეს სიამოცნებას ანიჭებს და ეამაჟება ქართული პოლიტონიური ხალხური მუსიკის პოპულარიზაცია დასავლეთში, ანსამბლის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს საქართველოსადმი დიდი სიყვარული და საქართველოში სამღერლად დაბრუნების ოცება.

უღრმესი მადლობა, საქართველო!

ანდრეა კუზმიჩი
ანსამბლის წევრი
ქართულად თარგმნა
გატო ქაჩიბაიამ

ძეგლი პრესის ფურცლებზე

უამსიმღეროდ ვერ ვიცხოვრებდი. . .
(ნაწყვეტი სტატიიდან)



კახი როსებაშვილი

სტუდენტობისას მე და ჩემი მეგობარი ფონოგრაფით დაგდიოდით სოფელ-სოფელ და ხალხურ სიმღერებს ვიწერდით. კუთხე არ დარჩენილა საქართველოში ისეთი, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით. დაგვცინოდნენ, საქმე გამოგლევიათო. . . ჩემს ახალგაზრდობაში ფოლკლორისგობა მუსიკოსისათვის სათაკილოდ ითვლებოდა. ამ ბოლო დროს კი ძალიან მოდური და პრესტიჟული გახდა. . . ხალხური სიმღერა ისმის ყველგან – სცენაზე, რადიოში, ტელევიზიონთ. . . იქმნება ხალხური სიმღერის უამრავი ანსამბლი, თითქმის არ არსებობს დაწესებულება, საკუთარი ანსამბლი რომ არ ჰყავდეს. თუმცა, სამწუხაროა, რომ ყველა მათგანს თითქმის ერთიდაიგივე რეპერტუარი აქვს. მღერიან „კვირიას“, „კახურ შემოძახილს“, „შენ, ბიჭო, ანაგურელოს“, „წინწყაროს“, „ხასან-ბეგურას“, „ოდოიას“. . . ამ სიმღერებს მე კომერციულს ვუწოდებ. მათ ასრულებენ, როგორც ქართული ხალხური სიმღერის ნიმუშებს. მე კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა და დავამტკიცო კიდეც, რომ არცერთი მათგანი არ არის ხალხური. ყველა ავტორისეულია. 1958-60 წლებში მთელი სამეგრელო შემოვიარე. არსად მღერიან „ოდოიას“. იქ ასრულებენ „თოხნურს“, „ოყონურს“. არცერთი გლეხი არ მღერის საქართველოში „შენ, ბიჭო, ანაგურელოს“ . . . იგი სინამდვილეში ვანო მჭედლიშვილის (ცნობილი კახელი მომღერა-

ლი – რედ.) მიერ ხალხურ მოტივზე შექმნილი ნაწარმოებია. არც „წინწყაროს“ მღერის ვინმე კახეთში. თუ იციან, ისევ – რადიოთი და ტელევიზიონთ. „კვირიას“ ის ვარიანტი, ჩვენი ანსამბლები რომ ასრულებენ, ილია ფალიანმა შექმნა და არაფერი აქვს საერთო ნამდვილ სვანურ „კვირიასთან“. ამ სიმღერებმა თავისი საქმე გააკეთეს. ახლა კი დროა, მივხედოთ, ვუპატრონოთ ნამდვილ ხალხურ ბუდეს ქართული სიმღერებისა, რომელიც საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შემორჩენილია ხალხში. საჭიროა მათი სასწრაფოდ ჩაწერა და ნოტებზე გადატანა. . .

რაც მთავარია, ხალხური სიმღერების შესრულების მანერაც ნამდვილად ხალხური უნდა იყოს. ჩვენს მუსიკალურ ფოლკლორს განსაკუთრებით ახასიათებს ეკმელიკა (სუფ-თა წყობა) – თანამედროვე (ტემპერირებული) წყობიდან გადახვევა. თუ ნოტებზე აღვნიშნავთ „დო“-ს, ის „დო“ კი არ არის, ცოტა მაღალია – „დო“-სა და „დო“-დიეზს შორის. ასე მდეროდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენც ასე უნდა ვიმღეროთ.

ქართული სიმღერა საკმაოდ კამერულია, გარდა ისეთი პომპეზური სიმღერებისა, როგორიცაა მრავალუამიერები, მაყრულები. კახურ „სუფრულესაც“ კი ღილითგან თრი სოლისტი და სამი ბანი ასრულებდა. სამწუხაროდ, კამერულობას ვერ მოვთხოვთ ანსამბლებს, გუნდებს, რომლებშიც ორმოცი, ოთხმოცი, ასი კაცია. ასეთი ანსამბლები აკონსაექტებენ სიმღერას, იმ მადლსა და ლაზათს აკლებენ, ზოგჯერ სულაც უკარგავენ, ქართველი გლეხის ნამღერს რომ ჰქონდა.

ჩვენი წინაპრებისთვის სიმღერა ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილების კი არა, არსებობისათვის ბრძოლის საშუალება იყო. ჩოხატაურის რაიონში, შუა სურებში რამიშვილები ცხოვრობენ. განსაცვიფრებლად მღერიან. გადავწყვიტეთ, ჩაგვეწერა. ჩავდით სოფელში, მივიწვიეთ კლუბში. ავიდნენ სცენაზე, აწრიალდნენ, ვერაფრით ვერ იმღერეს. ბოლოს ვიღაცამ გვირჩია, ყანაში გაიყვანეთ, ისეთ „ყანურს“ გეტყვიან, გაგაგიუებენო. გავიყანეთ, გავათრიეთ ჩვენი უზარმაზარი აპარატურაც. აიღეს რამიშვილებმა თოხები, დაიწყეს მუშაობა. იმღერეს, მაგრამ როგორ იმღერეს. . . მერე ერთ-ერთი მოგვიბრუნდა და გვითხრა: „აი კაცი რომ ჩივის, სიმღერებიო, არაა ეს სიმღერები. სიმღერები ისაა, თქვენ რომ გადმოსცემთ რადიოთი. ჩვენ ეს რომ არ გვქონდეს, ვერც დავთესავთ, ვერც გავთოხნით, ვერც მოვმით, ერთი სიტყვით, შიმშლით დავიხოცებითო“.

მამაჩემს ბიცოლა ჰყავდა. ისეთი მოტივალი, ალბათ, მეორე არ იყო ქართლში. შვილები ოშში დაეღუპა. ვერ ჩაგვეწერ მისი ტირილი. მივუტანდი მიკროფონს თუ არა

გაჩუმდებოდა, გახევდებოდა, ცრემლიც გაუშრებოდა. . .

ჩემს სოფელში, ქვემო გომში, „ურმულის“ არაჩვეულებრივი მომდერალი ცხოვრობდა. სეპლა ერქვა. ვერც მისი ჩაწერა მოვახერხე. ბოლოს მითხო, ურემზე დაგსხვდეთ და კიმდერებო.


აი, ასეთია ქართული სიმღერის ბუნება, მისი ფესვი და ძირი, აქედან მოდის ყველაფერი.

„ურმული“, „გუთნური“, „ყანური“, დატირებები, ზარები. . . ჩვენში ჯერ კიდევ მდერიან ამ უმველეს სიმღერებს, ჯერ კიდევ შეიძლება მათი ჩაწერა და ნოტებზე გადატანა. საამისო ძალებიც გაგვაჩნია, აპარატურაც გვაჭვს. . . სწორედ ამ სიმღერებზე უნდა იზრდებოდნენ ჩვენი ბავშვები.

ბოლო დროს ახალგაზრდობის აღზრდაში დიდი ადგილი დაიკავა მუსიკალურმა ფოლკლორმა. იქნება ბავშვთა ანსამბლები, უამრავი ბავშვი მდერის ხალხურ სიმღერებს, მაგრამ ჩემი აზრით, პროცესი მაინც არასწორად ვითარდება. ბავშვთა ანსამბლებს რომ ვუსმენ, უკმარისობის გრძნობა მეუფლება. ხალხურ სიმღერებს კი არა, რადაც დაკონსპექტებულ, გათხელებულ, გაფხეკილ სქემებს მდერიან. . . ვასწავლოთ პატარებს საფერხულო, საწესო, რიტუალური სიმღერები. ქართველი ბავშვობიდანვე უნდა ეზიაროს ყოველივე ამას. . . ანდა, ვითომ ურიგო იქნებოდა ბავშვებისთვის საგალობლები გვესწავლებინა? რატომ არ უნდა იცოდეს ბავშვმა გალობა? საგალობლების შესწავლა დაუხვეწს მას გემოვნებას, ჰარმონიის შეგრძნებას, მრავალფეროვნების აღქმის უნარს. მოზარდს სწორედ ბიბლიასა და საგალობლებს უნდა ვასწავლიდეთ, რაც სარგებლობის მეტს არაფერს მოუტანს ახალგაზრდობას. . .

**ქახი როსეგბაშვილი
გაზეთი „თბილისი“
1990-იანი წლები**

გამოხმაურება წიგნზე:
„ექო საქართველოდან“



ნოვა საიუნივერსიტეტის (Nova Science Publishers), გამოსცა წიგნი „ექო საქართველოდან. ჩვიდმეტი არგუმენტი ქართული პოლიფონის შესახებ“. იგი გამოსაცემად ობილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა მოამზადა.

ეს არის პირველი ინგლისურენოვანი კრებული, რომელიც მრავალმხრივად აშუქებს ქართულ პოლიფონიას. მისი მიზანია საერთაშორისო საზოგადოებას მიაწოდოს მეცნიერული ცოდნა მოვლენაზე, რომელსაც უკანასკნელ ხანს მსოფლიო საკმაოდ კარგად გაეცნო ქართული ფოლკლორული ანსამბლების საგასტროლო ტურნების წყალობით. უცხოელთა გაზრდილ ინტერესზე მეტყველებს ქართული მრავალხმიანობის შემსრულებელი ანსამბლების მომრავლებაც სხვადასხვა ქვეყანაში. ალბათ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ამერიკული სამეცნიერო გამომცემლობის დაინტერესებაც ამ თემით.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ შთამბეჭდავია ამ სქელყდიანი წიგნის გაფორმებაც, რომელშიც კარგადაა მინიშნებული ქართული კულტურის არქაულობაც და მისი განუმეორებელი ელფერიც. კონცერტი შესანიშნავადა შედგენილი, მასში ავტორების საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი. ჩემი აზრით, მის ღირებულებას ისიც ზრდის, რომ ქართული მრავალხმიანობის წარმოშობა

ბისა და განვითარების, მისი ფორმების მრავალფეროვნებისა და უნიკალობის შესახებ მსჯელობები არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერებიც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ზიგფრიდ ნადელის „ქართული სიმღერა“ ფრაგმენტები, რომლითაც ისნენება ქრებული. გერმანელი მკვლევარი პირველი იყო, ვინც დაინტერესდა ქართული მრავალხმიანობის ფენომენით და მიუძღვნა მას სპეციალურ მონოგრაფია (1932, ბერლინი). იგი უცხოელთაგან ასევე პირველი იყო, ვინც ქართული მრავალხმიანობის „თვითნაჩენობა“ (ილია) აღნიშნა. უურადდებას იქცევს იზალი ზემცოვესკის სტატია „ქართული მოდელი: ეთნოგრამუსიკოლოგიური მიდგომა ზეპირი პოლიფონიის სამყაროსადმი“, რომელშიც ავტორი ქართულ მრავალხმიანობას განიხილავს, როგორც, საზოგადოდ, ტრადიციული მრავალხმიანობის მოდელს, რადგან მასში მრავალხმიანი სიმღერის ყველა ძირითადი ტიპია წარმოდგენილი და რადგან მრავალხმიანობის ფორმების ამგარი მრავალფეროვნება ისეთ მცირე ტერიტორიაზე, როგორიც საქართველოა, მსოფლიოში არსად გვხვდება.

ქართული მრავალხმიანობა ზოგადი და კონკრეტული არგუმენტებითაა წარმოდგენილი წარსულისა და თანამედროვე ქართველ ავტორთა – ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, შალვა ასლანიშვილის, ვლადიმერ ახობაძის, გრიგოლ ჩხილაძის, მინდია უორდანიას, ვალერიან მალრაძის, ევსევი ჭოხონელიძის, ვლადიმერ გოგოტიშვილის, ედიშერ გარაფანიძის, მანანა შილაკაძის, თამაზ გაბისონიას, ნინო ციციშვილის, იოსებ უორდანიას, რუსუდან წურწუმიას ნაშრომებში. მათში განხილულია ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმების, ხმათა მოძრაობის, კილო-ჰარმონიული თავისებურებები სხვადასხვადიალექტებში, საკრავიერი მუსიკის საკითხები, ქართული მუსიკალური კულტურის ინტერაქციული ურთიერთობების, ეროვნული იდენტობის პრობლემა და სხვ.

ამ ნაშრომთაგან უმეტესობა ადრეა შექმნილი, მათი ნაწილი სხვადასხვა (არაინგლისურ) ენებზეა გამოქვეყნებული, ნაწილი – ხელნაწერის სახით ინახებოდა თბილისის კონერვატორიის ქართული ხალხური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში, ზოგიერთი კი სპეციალურად ამ კრებულისთვის დაიწერა.

ცალკე აღნიშნის დირსია კრებულის გამოცემის აკადემიური დონე – კრებულს პყავს ორი რეცენზენტი, მსოფლიო მრავალხმიანობის საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი ფრანგი სიმპა არმი და ესპანელი ეთნომუსიკოლოგი პოლო ვალეპო, რომელთა ვრცელი რეცენზია წიგნის რედაქტორების რუსუდან წურწუმიასა და იოსებ უორდანიას შესავალთან ერთად წინ უძღვის კრებულს. ადრე გამოქ

ვექნებულ სტატიებს ახლავს რედაქტორების კომენტარები, ხოლო კრებულის ბოლოს მოცემულია ქართული მრავალხმიანობის ვრცელი ბიბლიოგრაფია, მონაცემები წიგნში წარმოდგენილი ავტორების შესახებ და ინდექსები.

წიგნის შემენა შესაძლებელია ინტერნეტით, გამომცემლობის საიტზე:

https://www.novapublishers.com/catalog/index.php?cPath=23_318

ვფიქრობ, ეს წიგნი შესანიშნავი საჩუქარია ქართული მუსიკალური კულტურით დაინტერესებული არაქართულენოვანი მკითხველისათვის.

ნინო ლამბაშიძე
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის ივჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი
გამოხმაურება დაიგენერირდა საქართველოს
კომპოზიტორთა კავშირის უკრნალში
„მუსიკა“, 2012 წ. № 2

ერთი სიმღერის ისტორია

ურმული

ქართული მუსიკის ერთ-ერთი უძველესი პლასტი შრომის სიმღერებია, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით ერთი, ორი, სამი და ოთხმიანი ნიმუშების სახით გვხვდება, თუმცა, ხმათა რაოდენობა რომ არ განსაზღვრავს სიმღერის მხატვრულ დონეს, ამას ყველაზე კარგად სწორედ ქართული შრომის სიმღერები ადასტურებს. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთხმიანი, ცალფა სიმღერა მხატვრული გამომსახველობით განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე შეიძლება იდგეს, ვიდრე მრავალხმიანი. სწორედ ასეთი ერთხმიანი ქართლ-კახური ურმულება, რომლებიც თავისი მაღალმსახვრული დირებულებით სამართლიანად შეიძლება დაგაყენოთ აჭარულ-გურული სამ და ოთხმიანი ნაღურების გეერდით.

„ურმული“ ერთხმიანი, ანუ ცალფა სიმღერა, რომელიც ინდივიდუალურ შრომასთან, კერძოდ, ურმით ტვირთის გადაზიდვასთანაა დაკავშირებული. ერთხმიანი შესრულება მისი სოციალური ფუნქციითაა განპირობებული – ურმულის სიმღერის დროს მეურმე მარტოა. ესაა შრომით დადლილი გლეხი, რომელიც თავისი ცხოვრების ავ-კარგსა თუ სოციალურ ჩაგრაზე ჩივის. თუმცა, აღმოსავლეთის მთის კუთხების ერთხმიანი სიმღერებისაგან განსხვავებით, სადაც ვერბალური ტექსტი აშკარად პრიორიტეტულია მუსიკალურთან შედარებით, ქართლ-კახურ „ურმულებში“ წინა პლანზე მუსიკალური გამომსახველობა მოდის, რომელიც ზუსტად ეხამება სიმღერის ლირიკულ შინაარსს. ზოგიერთი მკვლევარი „ურმულს“ მგზავრული სიმღერების ჟანრად განიხილავს, ილია ზურაბიშვილი მას „ფიქრის სიმღერას“ უწოდებს...

„ურმულის“ მუსიკალურ გამომსახველობას განსაზღვრავს მინორული მიხრილობის, მეტრულ-რიტმულად შეუზღუდავი, ფართო დიაპაზონის მელიზმატური მელოდია, რომელშიც მაღალი ტესიტურიდან კილოური საყრდენისაკენ დაღმავალი ტიპის მოძრაობა ხქარბობს. ქართული სიმღერისათვის დამახასიათებელი იმპროვიზაციულობა „ურმულებში“ განსაკუთრებით თვალსაჩინოა.

„ურმული“ (ისევე, როგორც „ოროველა“) სხვა შრომის სიმღერებისაგან განსხვავებით, მეტრულ-რიტმული თავისუფლებით ხასიათდება, რაც იმით აისხება, რომ შემსრულებელი ფიზიკურად არ შრომობს, ის შრომის პროცესის პასიური მონაწილეა (ზის დატვირთულ ურემზე, რომელსაც ხარი ეზიდება). მელოდიური და მეტრულ-რიტმული თავისუფლება განაპირობებს „ურმულების“ ფორმასაც.

მათ მუხლობრივი აღნაგობა აქვთ, თვით მუხლები კი გაფართოებულ პერიოდებს წარმოადგენს.

„ურმულისათვის“ დამახასიათებელია ყოველი მუხლის სხვადასხვა სიმაღლეზე დაწყება, რაც ქართლ-კახური სიმღერების თვისებაა. განსაკუთრებით თვალშისაცემია მოდულაცია კვარტით ქვევით.

შეიძლება ითქვას, რომ ერთხმიანი „ურმული“ ქართლ-კახეთის „საკუთარი“ სიმღერაა, რადგან ის საქართველოს არც ერთ სხვა კუთხეში არა დაფიქსირებული. თუმცა, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, სამეგრელოში, მეურმის რამდენიმე სამსმიანი სიმღერა გვხვდება: „მეურემეშ ობირუ“ (მეურმის სიმღერა), „მეურემე“, „ჩელა“ (მეურმის სიმღერა, ჩელა – ხარის სახელია), „მა დო ჩქიმი არაბა“ (მე და ჩემი ურემი), ხოლო შალვა მშველიძეს ჩაწერილი აქვს გურული „ურმული“. მეგრული „ურმულები“, სევდიანი ხასიათითა და ვერბალური ტექსტის შინაარსით, რომელიც მეურმის ფიქრებსა და დარღს გადმოგვცემს და ლირიკული ხასიათით ქართლ-კახურ „ურმულებს“ ენათესავება, გურულ „ურმულს“ კი მხოლოდ ტექსტი აქვს სოციალური შინაარსის, სხვა მხრივ, ესაა ტიპური გურული სიმღერა ორი ტრიოს ორპირული შესრულებით, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართლ-კახური „ურმულების“ ხასიათსა და მუსიკალურ გამომსახველობასთან.

ქართლსა და კახეთში ლამის ყველა სოფელში ურმულის სხვადასხვა ვარიანტებს მდეროდნენ, მეტიც, თითქმის ყველა სახელგანთქმულ მომღერალს „ურმულის“ საკუთარი ვარიანტი ჰქონდა. ამ თვალსაზრისით, „ურმულთა“ სიმრავლე ქართლ-კახეთში შეიძლება გურიაში „ხასანბეგურების“ ვარიანტთა სიმრავლეს შევადაროთ.

ნინო ციციშვილის აზრით, აღმოსავლეთ საქართველოს სასიმღერო მუსიკალური ფოლკლორი, კერძოდ, „გრძელი“ ქართლ-კახური სიმღერები და ოროველა-ურმულები, ერთი მხრივ, ხარისხობრივად სრულიად განსხვავდება დასავლეთ საქართველოს ყველა სასიმღერო ქანრისაგან, მეორე მხრივ კი, ნაოგესაობას ამჟღავნებს ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის მონოდიურ კულტურებთან, რაც საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ მათი ჩამოყალიბება დაკავშირებული უნდა იყოს უძველეს მიგრაციულ პროცესებთან, კერძოდ, ინდოევროპული ტომების მოსვლასთან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

„ურმული“ საინტერესოა არქაული და მაღალგანვითარებული აზროვნების თანაარსებობის თვალსაზრისითაც. როგორც ერთხმიანი სიმღერა, რომლის ტექსტის მნიშვნელოვან ნაწილს შინაარსს მოკლებული გლოსოლალიები ქმნის („არალუ“, „არალო“, „არი-

არალე“, „პარალალო“, „იალალი“, „იალალო“), „ურმული“ ქართული მუსიკალური ფოლკლორის არქაულ პლასტის განექუთვნება, თუმცა, ამავდროულად, მელოდიის იმპროვიზაციულობით, მეტრულ-რიტმული თავისუფლებითა, მოღულაციების სიჭარბითა და კილოური განვითარების დონით ეს სიმღერა მაღალმხატვრული აზროვნების ნიმუშად გვევლინება.

რთული, ორნამენტებით უხვად გაჯერებული მელოდია ცნობილი კახური „ჩახვევებით“, კილოური „სიმერყევე“, მოღულაციების სიჭარბე, მეტრულ-რიტმული თავისუფლება „ურმულს“ სპეციფიკურად რთულსა და ძნელად შესასრულებელს ხდის, იმპროვიზაციული ტექნიკის მაღალ დონეზე ფლობას მოითხოვს. ალბათ, სწორედ ამითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ ეს სიმღერა თანამედროვე ანსამბლების რეპერტუარებში ნაკლებად ფიგურირებს.

ქართველ კომპოზიტორებსა და ფოლკლორისტებს – დ. არაყიშვილს, ზ. ფალიაშვილს, გრ. ჩხილვაძეს, მ. უორდანიასა და ა.შ. სხვადასხვა დროს „ურმულის“ არაერთი ვარიანტი ჩაუწერიათ ქართლსა თუ კახეთში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „ურმულის“ სანოტო ტრანსკრიპცია, მისი იმპროვიზაციული, მელიზმატურ-ორნამენტული მელოდიის „წყალობით“, მხოლოდ მიახლოებით გამოხატავს სიმღერის რეალურ ქდერადობას, რასაც თვით ჩამწერებიც მიუთითებენ შენიშვნების სახით.

მოაზადა მაკა ხარძიანშა

ଉରମୁଲି

Andante

ჩანსერილია დ. არაყიშვილის მიერ
ქართლი, 1901 წ.

დალალი, დალალი, დალალო და!
ნეტავი, ჩემო დედაო,
დაგბადებიყავ ქალი(ა)ო,
ეგება გამათხოვებდი (და),
შორს წამიყვანდა ქმარი(ა)ო,
ალუალალუ, ალალუ, ალალო, ქამეჩო!

კამეჩო, შენი მეხრე ვარ,
სახრე მიჩირავს ხარხარი,
ასე გაგიხდი გვერდებსა,
როგორც ნითელი ჭარხალი.

ორივე გუშინ დავკარებე
ჩემი ლომა და მითარა,
ნეტავი ღვინით დამათრო,
ლამაზ ქალებთან მიმთარა

რედაქტორი:
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მაკა ხარძიანი
ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2013

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.
tel: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187
ელ-ფოსტა: polyphony@polyphony.ge; polyphony@conservatoire.edu.ge;
www.polyphony.ge

eISSN 1512-228X

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2013 წლის დეკემბერში